# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 14 დეკემბერი 2001 №239 (1512) | ფასი 50 თეთრი

2

## რენტგენის ჩვიდმეტი გაელვება



ხიზანიშვილი გადარჩა, ქეცბაიას დანდიმ ფრთები გამოასხა

4

## მშვიდობით, იარაღო!

რობი ფაულერმა ცუდად ჩაიცვა და კარგად დალია

6

## იპოვეს ქალი. თანაც შიშველი!



აი, რას ანაცვალეს

ფრანკ დე ბურმა, ედგარ დავიდსმა და პატრიკ კლუივერტმა მსოფლიოს ჩემპიონატი

12

## ინგლისი შფოთავს

დღეს! სილვერსტოუნი ბეწვზე ჰკიდია

14

## ცხენმა ზედმეტი ილაპარაკა

ნუ ეტყვი მექსიკელს „შე მექსიკელო“: „კავკასიური ეროვნების პირის“ ამერიკული ვარიანტი

# ჩემპიონთა ლიგა საქართველოს ბიუჯეტივით გაირღვა

## ტელევიზია რომ არა, შეფა შკან დაბრუნდებოდა

მომდევნო სეზონში უეფას თასს ან „რეალ ბეტისი“ მოიგებს, ან „სევილია“, მეტი შანსი, ცხადია, აქვს „ბეტისს“, რომელიც პრიმერადივიზიონში რიგიანად თამაშობს...

რაც ახლა ვთქვით, არც წინასწარმეტყველებაა და არც ჩაწყობილი საქმე, ისიც საკითხავია, ეს გუნდები ფინალამდე მიაღწევენ თუ არა, ეგებ, სულაც ვერ გავიდნენ ევროთასზე.

ის, რაც თავში ვთქვით, სევილიის მერის პაბლო დე ლოს სანტოსის ოცნებაა, კაცის, რომელმაც ერთი ოცნება უკვე აისრულა — უეფას აღმასრულებელი კომიტეტის გუშინდელ გადაწყვეტილებით, 2002-03 წლების უეფას თასის ფინალს სევილიის „ბენიტო ვილიამარინი“ უმასპინძლებს.

მომდევნო სეზონში ჩემპიონთა თასს „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოიგებს...

არც ეს არის წინასწარმეტყველება... თუმცა, ალბათ, უკვე მიხვდით — ჩემპიონთა ლიგის 2003 წლის ფინალი „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართება.

კეთილი, სტადიონების ამბავი კი გაირკვა, მაგრამ თავად ჩემპიონთა ლიგის ფორმატის მომავალია უცნობი. უფრო სწორად, მომდევნო სამ სეზონში ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც ახლაა, მერე კი... მერე ლიგა, ალბათ, ადრინდელ, ოცდაოთხგუნდიან ფორმატს დაუბრუნდება, ყოველ შემთხვევაში, აღმასკომის სხდომაზე ამ იდეის წინააღმდეგი არავინ ყოფილა. როგორც ჩანს, არა მხოლოდ კლუბებისთვის, უეფას ჩინოვნიკებისთვისაც დამღლელი და მოსაბეზრებელი ყოფილა ამდენი სალიგო თამაში.

და ლოგიკურია კითხვა: თუ ყველა ძველი, ოცდაოთხგუნდიანი ფორმატის მომხრეა, რა საჭიროა ამდენი ლოდინი? ლოგიკურ კითხვას ლოგიკური პასუხი აქვს: 2006 წლამდე ჩემპიონთა ლიგის მატჩების სატელევიზიო ტრანსლაციის უფლებები უკვე გაყიდულია და ფორმატი რომ შეცვალოს, უეფას გვარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. ყველაფერი ანგარიშის საქმე არაა?

# თქვენ მოუგებთ იტალიას

## გვარწმუნებს დიდი შოტლანდიელი მორაგბე გრეგორ თაუნსენდი

### ფეხბურთის ენაზე მასთან საუბარი ფიგუსთან ინტერვიუს ნიშნავს





მეთორმეტე გვერდზე იხილეთ ინტერვიუ გრეგორ თაუნსენდთან. რაგბის ვარსკვლავი, შოტლანდიელთა უცნობილესი 10 ნომერი, რომლის შეჩერებაც როგორი საქმეა, ფოტოზეც კარგად ჩანს, ქართული რაგბისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებს

# რენტგენის ჩვიდმეტი გადაღება

## ხიზანიშვილი გადარჩა, ქეცბაიას დანდიმ ფრთები გამოასხა



ზურაბ ხიზანიშვილი

**შოტლანდიური** პრემიერლიგის ბოლო ტურში ქართველთა „დანდიმ“ სტუმრად მოუთავა საქმე „სენტ ჯონსტონს“. ნაოპერაციევ გიორგი ნემსაძეს, ცხადია, არ უთამაშია, თემურ ქეცბაიამ კი გოლი გაიტანა და საგოლე პასიც შეასრულა. შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია და სამატჩო განაცხადშიც არ იყო კიდევ ერთი დანდელი ქართველი ზურაბ ხიზანიშვილი, რომელსაც გუშინ „სენტ ჯონსტონთან“ მისი არყოფნის მიზეზი გამოვკითხეთ.

— სანამ „სენტ ჯონსტონს“ შევხვდებოდი, წინა ტურში „რეინჯერსთან“ მატჩში დავშავდი. ტკივილი ვერც თამაშის შემდეგ გავიყუჩე, გუნდის ექიმმა რომ გამსინჯა, მითხრა, ან მენისკი გაქვს, ანაც სხვა რამ სერიოზული ტრავმაო. გამოკვლევის მთელი კურსი ჩავიტარე. ისე მოხდა, რომ სურათი მუხლზე 17-ჯერ გადამიღეს. საბედნიეროდ, პირველი დიაგნოზი არ გამართლდა — ტკივილი მყესების დაჭიმულობის და მუხლში ჩამდგარი სისხლის ბრალი ყოფილა. ორი დღეა, რაც ვარჯიში განვაახლე, ტკივილი ოდნავ კიდევ მაწუხებს, მაგრამ ეგ არაფერი.

— თემურ ქეცბაია კი უკვე იქცა „დანდის“ ლიდერად. ის ყველა შეხვედრაში მართლაც გამორჩეულია. ივანო ბონეტი გუნდის ტაქტიკიდან გამომდინარე ხშირად უცვლის პოზიციას ქ — თემური ხან ნახევარდაცვის ცენტრში თამაშობს, ხან ფლანგებზე.

**დავით თავართქილაძე**



ახლახან არ იყო, ტურინში ჩემპიონთა ლიგის მატჩი ნისლის გამო ორჯერ რომ გადაიდო? როგორც ჩანს, უამინდობა იტალიური ფეხბურთის მტრად იქცა. აი, მილანის „სან სირო“, რომელზეც სათასო მატჩში „მილანს“ „ლაციოსთვის“ უნდა ემასპინძლა. მილანში კი უცებ ჩამოთოვა და თამაში შეუძლებელი შეიქნა. იანვარში შევხვდეთო, მოილაპარაკეს კლუბებმა და ფედერაციაც დათანხმდა.

# ასლანმა ახალი წელი დაგეგმა

## ბათუმმა გვიანიძე არ დაიგვიანა



ასლან ბალაძე

**ორი წელია,** ასლან ბალაძე „ბათუმს“ წვრთნის და დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ თავისი ხელი დაატყო მშობლიურ გუნდს.

შარშანდელ სეზონში „ბათუმი“ ზეექვსეულში ვერ მოხვდა. მაშინ ბალაძემ მომხდარი კანონზომიერად მიიჩნია, გუნდში ძირითადად ახალგაზრდები არიან და მათთან სწორი მუშაობა მომავალში კარგ შედეგს მოიტანსო.

ბალაძემ მოახერხა და ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა, თანაც გუნდში გამოცდილი ვეტერანები — ტუღუში და მაჭუტაძე დააბრუნა. შედეგად „ბათუმი“ ეფექტურად ათამაშდა და სავსებით ლოგიკურია, ზღვისპირელებმა საშემოდგომო ეტაპი მესამე ადგილზე რომ ჩაამთავრეს.

ჩემპიონატში შესვენება კია, მაგრამ „ბათუმი“ კვლავაც ვარჯიშობს. ასე გაგრძელდება 20 დეკემბრამდე, მერე კი გუნდი 14 დღით დაისვენებს.

„4 იანვარს შევიკრიბებით. მეტს ვერ დავიგვიანებთ, საწვრთნელ გრაფიკს ჩამოვრჩებით. 20 იანვრამდე ბათუმში მოვემზადებით, მერე კი ათი დღით ბაკურიანში გავემგზავრებით, სადაც ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე ვიმუშავებთ. 3 თებერვლიდან კი 16-დღიან ბულგარულ შეკრებას მოვაწყობთ. ბულგარეთში შარშანაც ვიყავით და კმაყოფილნი დავრჩით. იქ რამდენიმე საკონტროლო მატჩს გავმართავთ და ბათუმში დაბრუნებულები მშვიდად დაველოდებით ეროვნული ჩემპიონატის განახლებას“ — გვითხრა ასლან ბალაძემ.

„ბათუმის“ თავკაცმა ისიც გაგვიმხილა, რომ გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას აპირებს, რომელთა ვინაობაც ახალ წლამდე გაირკვევა.

ზღვისპირელები გაძლიერებასაც ფიქრობენ და ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს:

„ორი დღის წინ ექვსთვიანი კონტრაქტი გავუფორმეთ ავთანდილ გვიანიძეს. მისი გადაბირება სხვებსაც სურდათ საქართველოში, მაგრამ ყველას დავასწარით. იგი ტერნოპოლის „ნივაში“ თამაშობდა და თავისუფალი აგენტის სტატუსით შემოგვიერთდა. გვიანიძეს უკრაინის ჩემპიონატში გვარიანი გამოცდილება აქვს შეძენილი და მჯერა, ეს შემტევი ნახევარმცველი თავის სიტყვას „ბათუმშიც“ იტყვის“.

ბალაძეს სხვების შემატებაც სურს, თითოეული რგოლი გასაძლიერებელიაო, გვითხრა, მაგრამ კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა, სასურველ ფეხბურთელებთან ჯერაც მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და ეს პროცესი რომ დასრულდება, მათ ვინაობასაც მერე შეიტყობთო.

დაბოლოს, როგორც იცით, პაატა მაჭუტაძეს ზღვისპირულ გუნდთან კონტრაქტი დაუსრულდა, თუმც გადაწყვეტილი ამბავია, მაჭუტაძე და „ბათუმი“ ახალი წლიდანაც ერთად ივლიან. „პაატა დიდი ძალაა ჩვენთვის, მას ახალი ხელშეკრულება შევთავაზეთ და დადებითი პასუხი მივიღეთ. ოფიციალურ მხარეს ახალ წლამდე მოვაგვარებთ“ — გვითხრა ბალაძემ.

**ბაათა ქვანტალიანი**

# გაბელაიას ცოდვა არმაზმა დაიდო

## გერმანიაზე მეოცნებე მწვრთნელი უმუშევარი დარჩა

**ძალიან** სარისკოა მწვრთნელის პროფესია. დაქირავებულ სპეციალისტს ყოველ ცისმარე დღეს ერთი ნაბიჯი აშორებს უმუშევრობასთან. მწვრთნელთა ცხოვრებაში ერთხელაც დადგება მომენტი, როცა კლუბის თავკაცი ერთგულებას, ადრინდელ დამსახურებას ივიწყებს და მშვიდობითო, ეტყვის ოდესღაც რჩეულს. ყოველივე ფეხბურთის დაუწერელი კანონია — მწვრთნელები გამუდმებით იცვლებიან, გუნდი კი რჩება.

...სამი კვირის წინ „ვიტ ჯორჯიას“ თავკაც სერგო გაბელაიას თითქოს უმუშევრობა არ ემუქრებოდა. კლუბის ხელმძღვანელებთან შეთანხმებულად და შეხმატკბილებულად მოქმედებდა, მომავლისაც ეიმედებოდა.

გაბელაიამ „ეროვნულზე“ „დინამოს“ არნახულად მოუგო და თავისი პოზიციებიც „ვიტ ჯორჯიაში“ კიდევ უფრო გაიმყარა, მაგრამ ერთი კვირის თავზე ვიტელებს საკუთარ „არმაზზე“ „მერანთან“ პრინციპულ მატჩში ფეხი დაუცდათ და... ხელმძღვანელებმა, ჩვენ ვაფასებთ გაბელაიას ნაშრომს, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ ფარმ-კლუბს დაუბრუნდებაო. დაბრუნდა მწვრთნელი თავის შეგირდებთან, იქ, საიდანაც იტალიაში მოულოდნელად აბარგებული ჯანი კარნევალი შეცვალა.

რეგიონული ლიგის აღმოსავლეთი ზონის წლევანდელ ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯია 2“-მა „არმაზზე“ „მცხეთასთან“ დიდი ანგარიშით — 0:4 წააგო და...

ორ დღეში სერგო გაბელაია უმუშევარი დარჩა. ვიტელებმა მისი სამსახური არ ინდომეს.

„ჯერჯერობით ვისვენებ და ახალ წინადადებებს ველი. ვიცი, რაღაც მაინც გამოჩნდება, ვიღაც მიმიწვევს. არადა, ვეცდები, ადრინდელი ოცნება ავიხდინო და სასწავლებლად გერმანიას მივაშურო“ — ეს გვითხრა სერგო გაბელაიამ გუშინ, როცა ტელეფონით შევეხმიანეთ.



სერგო გაბელაია

**მამუკა ქვანტალიანი**

## ინგლისი

პირველი დივიზიონი
XXIV ტური

მილუოლი 1:0 პორტსმუთი

## იტალია

თასის მეოთხედფინალი
I მატჩი

მილანი — ლაციო გადაიდო

## თურქეთი

თასის მერვედფინალი

ძოჯაელისფორი 2:1 გენჩლერბირლიგი

## კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 12 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ალბა 64:65 მაკაბი

**A ჯგუფი**

ჟალგირისი 91:67 კინდერი
ლონდონ თაუერზი 75:93 ულქერი
პერისტერი 67:75 ოლიმპია
ბარსელონა 90:81 სკაილაინერზი

**C ჯგუფი**

ცსკა 80:69 პორტეზი
სკიპერი 77:79 პანათინაიკოსი

**D ჯგუფი**

ოსტენდე 104:94 პარტიზანი
(ძირითადი დრო 83:83)
სკავოლინი 103:85 ურალ გრეიტი

## ხელბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები.

მეოთხედფინალი

დანია 27:26 ავსტრია
რუსეთი 30:23 უნგრეთი
იუგოსლავია 32:18 შვედეთი
ნორვეგია 29:26 საფრანგეთი




ქართულის ფეხბურთის ვარსკვლავთმრიცხველმა
რევაზ შენგელიამ მეათედ გამოსცა
ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი.
12 ეროვნული ჩემპიონატის სრული სტატისტიკა,
უმაღლესი პირველი და რეგიონული ლიგის კლუბთა
შარშანდელი შედეგები და წლევანდელი
მონაწილეთა განაცხადები
გუნდური ფოტოებით და პორტრეტებითურთ.
2000-01 წლების ჩემპიონატის შედეგები და
თასის გათამაშების ყველა მატჩი,
საქართველოს ნაკრების შეხვედრები,
ევროპის საკლუბო ტურნირები და მსოფლიოს
ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩები.
ეს ყველაფერი ქართული ფეხბურთის შესახებ
5 ლარად

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



მისთვის უცხო არ ყოფილა მეორეხარისხოვანი მეკარის რეპუტაცია. არც სათადარიგოობას შეუშინებია. მუდამ მუხლჩაუხრელად შრომობდა და შანსს ელოდა. საფიქრალი თითქმის არაფერი იყო, გიორგი ლომაია დიდი ხნის წინ იმსახურებდა ადგილს „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მწვრთნელები რატომღაც არ სწყალობდნენ. გუნდიდან გუნდშიც კარგა ხანს იარა, ითამაშა მეორე ლიგაში, მერე „მერანში" გაანათხოვრეს, სადაც ჩინებული სეზონი ჰქონდა.

...დაიბრუნა „დინამომ" და ისევ სათადარიგოობა ერგო. მაშინ კი აივსო მოთმინების ფიალა და რევაზ ძოძუაშვილის „ლოკომოტივს" შეეხიზნა. დღემდე რკინიგზელია, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელიც.

ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში ასაკის გამო შეუძლებელია, თუმც ეროვნული გუნდის თავკაცთა თვალხედვის არეშიც ხშირად იყო. ითამაშა კიდეც რამდენიმე მატჩი და დღეს სპეციალისტები გიორგი ლომაიას მისი თაობის საუკეთესო მეკარედ მიიჩნევენ. ბევრიც ეპატიჟება, განსაკუთრებით ის „დინამო" აქტიურობს, რომლის ძირითადში თამაშიც, დიდი სურვილის მიუხედავად, არ ეღირსა. ფულსაც არ იშურებენო ათგზის ჩემპიონები, მაგრამ „ლოკომოტივი" არ ელევა თავის მეკარეს.

# კომერსანტ გიორგი ლომაიას დინამოს მილიონის არ სჯერა

**— „დინამო" და „ლოკომოტივი" რომ შეთანხმდნენ, კლუბის გამოცვლას დაჟაბულდებით?**

— სხვა უკეთესი ვარიანტი მითხარით და იმას ავირჩევ, მაგრამ მაინც არა მგონია, „ლოკომოტივმა" გამასხვისოს. „დინამო" სეზონის დაწყებამდეც შემეხმიანა, საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგაც დამელაპარაკნენ, მაგრამ რკინიგზელებთან კონტრაქტი მაკავშირებს. თანაც მათ პირნათლად შემისრულეს თითქმის ყველა დანაპირები და ახლა გაქცევაზე ვიფიქრო, არ ვიქნები მართალი.

**— ამბობენ, „დინამო" მილიონს იხდისო...**

— გამორიცხულია, მილიონ ლარს ჩემში არავინ გადაიხდის. მილიონს ევროპაში არ იხდიან მეკარეებში. ამოდენა ფულად ჩვენში გუნდსაც შეკრებენ და ორი ჩემპიონატის მანძილზე საფიქრალიც არაფერი ექნებათ.

**— ალბათ, „ლოკომოტივში" თავს ბედნიერად გრძნობთ...**

— ჯერ ის ვთქვათ, რას ჰქვია ბედნიერება. საკუთარი ოჯახი ჯერ არ შემიქმნია და ბევრ თანამემამულესავით ლუკმაპურის შოვნის პრობლემა ნამდვილად არა მაქვს, მაგრამ რა იქნება მერე, არ ვიცი. ჩემი ბედი ჩემს ხელთაა, მოვინდომებ და ბედნიერიც ვიქნები.

**— ისე, ფეხბურთელობა საქართველოში არ არის ურიგო ხელობა. სხვა თუ არაფერი, თვიდან თვემდე 12 ლარის ანაბარა მაინც არა ხართ.**

— საქართველოში სულ რამდენიმე გუნდია, სადაც ხელფას-პრემიები თავის დროზე რიგდება. დანარჩენები კი წვალობენ. როგორია, როცა იცი, ფული გეკუთვნის და თვეობით მოლოდინში ხარ. ფაქტობრივად, ნისიად თამაშობენ ბიჭები. არადა, თითოეულის უკან ოჯახები დგანან, სადაც ლუკმა-პურის შემტანიც სხვა არავინაა, მათ გარდა. რამდენიმე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, საქართველოში ფეხბურთელობა წვალებაა და მეტი არაფერი.

**— ერთი წუთით თავი უფეხბურთოდ წარმოიდგინეთ. რა გზას ეწეოდა გიორგი ლომაია?**

— უფეხბურთობა ჩემთვის წარმოუდგენელია. ბავშვობიდანვე ბურთს დავდევ და სხვა საქმეც არაფერი მეხერხება. ახლა არდადეგები გვაქვს და მერწმუნეთ, თავს არცთუ კარგად ვგრძნობ. უკვე ვარჯიში მენატრება.

**— როგორ ფიქრობთ, ხართ თუ არა პროფესიონალი?**

— სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ვცდილობ, ვიყო პროფესიონალი. უფრო სწორად, ცდას არ ვაკლებ, პროფესიონალად ჩამოვყალიბდე. დღეს მე ვიცი, რომ მაქვს სამსახური. რაც უფრო უკეთ გავაკეთებ ჩემს საქმეს, მეტს მივიღებ. სხვა არაფერი მეხერხება. მართალია, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტიც კი ვარ, მაგრამ...

**— ესე იგი, სხვა სპეციალობასაც ეუფლები...**

— კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის მეოთხეკურსელი ვარ, თუმც ვერ დავიკვეხნი, სპეციალობას ვეუფლები-მეთქი.

**— ალბათ, აუდიტორიების იშვიათი სტუმარი ხართ...**

— ლექციებზე მაშინ დავდივარ, როცა თავისუფალი დრო მაქვს. სესიების დროსაც უნივერსიტეტში ვარ. მთლად უხეირო სტუდენტად ნუ ჩამთვლით, წიგნების კითხვა ჩემი გატაცებაა.

**— როგორ გგონიათ, რატომ ვერ გახდა „ლოკომოტივი" ჩემპიონი?**

— თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. „ტორპედოსაც" გვარიანად ვუსწრებდით და პერსპექტივაც ნათელი გვიჩანდა, მაგრამ მოულოდნელად გუნდი თითქმის დაიშალა. მწვრთნელი შეიცვალა, სანამ ახალი მოთამაშეები „ლოკომოტივს" შეეწყვნენ, მანამ გაუთვალისწინებელი ქულები ვფანტეთ. მერე ჩვენი მონაგარი შუაზე გაიყო და „ტორპედომაც" გაგვასწრო.

**— მეცამეტე ეროვნულში თუ შეძლებთ ჩემპიონობას?**

— ეს უპირველესად, ჩვენზეა დამოკიდებული. ვნახოთ, როგორ მოვემზადებით, რა გუნდი ვიქნებით და შედეგზეც მერე ვისაუბროთ. ისე, რომ ვუკვირდები, საშემოდგომო ეტაპის შემდეგ „ტორპედოა" იმ ვითარებაში, შარშანდელ სეზონში ჩვენ რომ ვიყავით.

**— იმის თქმა გინდათ, რომ „ტორპედოშიც" ცვლილებებია მოსალოდნელი და ეს პროცესი ჩემპიონს დაასუსტებს?**

— არა, ეს გონებაშიც არ გამივლია. ქუთაისელთა ძლევა მაშინ იქნება სასახელო, თუ ძლიერ გუნდს შეინარჩუნებენ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეც იქნება. მე უფრო ის ვიგულისხმე, რომ წლეულს „ტორპედოა" ცხრილის სათავეში. ჩვენც ვლიდერობდით წინა ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპის შემდეგ, მაგრამ ბოლოს მეორეობას დავჯერდით.

**— კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს?**

— ჩემი ნება რომ იყოს, აქაურობას დღესვე გავეცლებოდი, მაგრამ ასე უგზოუკვლოდ ხომ არ გავუყვები გზას. თანაც მეკარისთვის ნორმალური უცხოური გუნდის გამოძებნა ძნელია. ჯერ მოვითმენ, ლოდინს მაინც ჩვეული ვარ. მანამდე იქნებ ჩვენს ჩემპიონატსაც ეშველოს რამე, არადა, წასვლის დროც დადგება.

**მამუკა ქვანტალიანი**



გიორგი ლომაიამ „ლოკომოტივი" გოლისგან კიდევ ერთხელ იხსნა...



იაპონ ბოსკამპისგან ნასწავლს გია გეგუჩაძე (მარჯვნივ) ახალგაზრდა დინამოელებს გადასცემს

# იყავი მესამე და მოგვეცი პირველი

## გეგუჩაძეს მომავალი ჩააბარეს

11 **დეკემბერს** „დინამოს" ხელმძღვანელობამ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე სხვა მრავალ საკითხთან ერთად ფარმ-კლუბებში შექმნილ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზეც ისაუბრა. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ უკმაყოფილონი არიან „დინამოს" მომავალი თაობის მომზადების დონით. ამაზე „დინამო 2"-ისა და „დინამო 3"-ის შესაბამისად პირველ და რეგიონულ ლიგებში დაკავებული დაბალი ადგილებიც მეტყველებს. ძირითადი გუნდი მათგან სრულყოფილ შევსებას ვერ ღებულობს, არადა, ადრე სულ საპირისპირო მდგომარეობა იყო — „დინამო 2"-ში დავაჟკაცებული ახალგაზრდა ფეხბურთელები თითქმის უპრობლემოდ ეგუებოდნენ ძირითად გუნდში თამაშს.

როგორც ჩანს, „დინამოს" ხელმძღვანელები მართლაც სერიოზულად დააფიქრა შექმნილმა ვითარებამ და მშველელს უხმეს. ასეთად კი, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საკმაოდ გამოცდილი გია გეგუჩაძე შეიგულეს და „დინამო 3"-ის თავკაცად დანიშნეს.

ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გია გეგუჩაძეს „დინამოში" ადრეც უმუშავია — თავიდან იქაც თანაშემწე იყო, მოგვიანებით კი მცირე ხნით მთავარი მწვრთნელიც გახლდათ. ბოლოს გეგუჩაძე რუსთავის „გორდას" წვრთნიდა და წინა სეზონში უმაღლესი ლიგიდან დაქვეითებისგან იხსნა კიდეც. თუმც შემდეგ ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლობის გამო კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ გეგუჩაძე უეფას მწვრთნელთა პროგრეს-კურსებშიც არაერთხელ მონაწილეობდა და ამჟამად ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელებს უკითხავს ლექციებს.

— გუნდს 5 იანვარს შევკრებ. თავიდანვე გეტყვით, რომ ჩემთვის შედეგს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უმთავრესი მიზანი ძირითადი გუნდისთვის ფეხბურთელების მომზადება იქნება. უმეტესად 1985-86 წლებში დაბადებულ ბიჭებთან ვიმუშავებთ, თუმც მათ 1984 წელს დაბადებულ ერთი-ორ ნიჭიერ ფეხბურთელსაც დავუმატებ, რომლებიც „დინამო 2"-ის ძირითად გუნდში ვერ ხვდებიან — გვითხრა გუშინ „დინამო 3"-ის ახალგამოცხვარმა მთავარმა მწვრთნელმა.

გეტყვით, რომ „დინამო 3" რეგიონულ ლიგის აღმოსავლეთ ზონაში თამაშობს და საკმაოდ სუსტადაც — პირველი წრის შემდეგ მხოლოდ მეთოთხმეტე საფეხურზეა.

**კახა შალამბერიძე**

# ვიტ ჯორჯია თბილისიდან თბილისამდე...

## ტყებუჩავამ ვეტერინარებს მძიმე გრაფიკი შეუდგინა

**„ვიტ ჯორჯიას"** ახალდანიშნულმა თავკაცმა გოჩა ტყებუჩავამ კლუბის ხელმძღვანელებთან თითქმის ყველაფერი გაარკვია. მართალია, ოფიციალურად ხელშეკრულება კლუბსა და მწვრთნელს შორის ჯერაც ხელმოუწერელია, მაგრამ ტყებუჩავამ საწვრთნელი პროცესი უკვე დაგეგმა.

ვიტელები არდადეგებიდან 26 დეკემბერს დაბრუნდებიან და 5 დღის მანძილზე ფიზიკურ კონდიციებს აიმაღლებენ. ამის შემდეგ ტყებუჩავა გუნდს ოთხი დღით დაასვენებს და სავარჯიშოდ „ლაგუნა ვერეზე" იხმობს. კიდევ ხუთი დღის შემდეგ „ვიტ ჯორჯია" სასტუმრო „მონოპოლში" გადაინაცვლებს შეკრებაზე. ვიტელებს ერთი კვირა დღეში ორჯერ მოუწევთ ოფლის ღვრა.

16 იანვრიდან ათი დღით ტყებუჩავა შეგირდებს ბაკურიანში წაიყვანს. იქიდან მობრუნებულნი ისევ „ლაგუნა ვერეს" მიაკითხავენ და გადამწყვეტი შეკრებისთვის ძალას მოიკრებენ.

მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ფაზას ვიტელები უცხოეთში, ანთალიაში გაივლიან. თურქულ მხარესთან ყველა პირობა შეთანხმებულია და ვეტერინარებსაც 2 თებერვალს ელიან.

თბილისში ყოფილი ვიცე-ჩემპიონი 20 თებერვალს დაბრუნდება და საგაზაფხულო ეტაპისთვის წვრთნას დედაქალაქში დაასრულებს.

**მამუკა ქვანტალიანი**

# მანჩესტერის საჩუქარმა ტოდი უსაჩუქროდ დატოვა



ლივერპული — ფულემი. სტუმრებს ბედი ჰქონიათ: ვერც ემილ ჰესკიმ და ვერც სხვა ლივერპულელებმა გოლი ვერ გაუტანეს

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩები

**ლივერპული 0:0 ფულემი**

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ანრი, რიისე, ბერგერი (ლიტმანენი 66), ჯერარდი, მაკალისტერი, მერფი (ბისკანი 81), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, გომა, ბრევეტი, შ. დევისი (ლეგვინსკი 59), მალბრანკი, კოლინზი, ბოა მორტე, ჰეილსი, საჰა
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
მსაჯი: უინტერი
37 163 მაყურებელი

**მანჩესტერი 5:0 დერბი ქაუნთი**

1:0 სოლსკიაერი (6), 2:0 კინი (10), 3:0 სოლსკიაერი (58), 4:0 ვან ნისტელროი (63), 5:0 სქოულზი (89)
მანჩესტერი: ბარტეზი (კეროლი 83), გ. ნევილი, ბლანი, ოში, სილვესტრი, ვერონი, როი კინი, ბატი, სქოულზი, ვან ნისტელროი (იორკი 79), სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, მავენი (დ. ბარტონი 63), რიგოტი, ჰიგინბოთემი, გრენე, ზავანი, ბოლდერი, დიუკრო (მიურეი 74), კარბონე, კრისტი (ბოერტიენი 70), რავანელი
მწვრთნელი: კოლინ ტოდი
გაფრთხილება: ჰიგინბოთემი, მავენი, სქოულზი
მსაჯი: ჰელსი
67 577 მაყურებელი

**ოთხშაბათი** კოლინ ტოდისა და მაიკლ ოუენის იმედგაცრუების დღე იყო, თუმცა ტოდთან ოუენი რა სახსენებელია...

„დერბი ქაუნთის“ მწვრთნელს მანჩესტერში მოუხდა დაბადების დღის აღნიშვნა. ტოდმა მილოცვები დილიდანვე მიიღო, საღამოს კი „ოლდ ტრეფორდზე“ მისულს რუუდ ვან ნისტელროიმ, როი კინმა, პოლ სქოულზმა და ოლე გუნარ სოლსკიაერმა მიართვეს „საჩუქრები“, ოღონდ შევნიშნოთ, რომ მწვრთნელს სულაც უსაჩუქროდ დარჩენა ერჩივნა.

მიკაელ სილვესტრმა მარცხნიდან ჩააწოდა სოლსკიაერს, ნორვეგიელმა ბურთი მკერდით გაისწორა და მოიქნია — 1:0.

ოთხ წუთში როი კინმა ამ სეზონში თავისი პირველი გოლი შეაგდო, პასი კი სოლსკიაერისგან მიიღო — 2:0.

ასეთი დასაწყისის შემდეგ რა გასაკვირია, რომ „მანჩესტერი“ გალაღდა და მეტოქე მისსავე საჯარიმოს მიაჯაჭვა. თუმცა ოქმშიც შენიშნავდით, პირველ ტაიმში მეტი გოლი აღარ გასულა, რაც უპირველესად დერბელთა მეკარის, ენდი ოუქსის დამსახურებაა. მან ვან ნისტელროის, ვერონსა და სქოულზს ურთულესი ბურთები აუღო. რაც შეეხება გაშვებულებს, მათგან მხოლოდ ერთი, რიგით მესამე, სოლსკიაერისთვის კი მეორე გოლია მეკარის სინდისზე — ოუქსმა ვან ნისტელროის დარტყმული უხერხულად მოიგერია და ნორვეგიელმა დაამატა. მერე ვან ნისტელროიმაც იხეირა (მეთორმეტე გოლი სეზონში), მეხუთე კი ბოლოსწინა წუთზე სქოულზმა მიითვალა, რითაც ამ სეზონში „იუნაიტედს“ უმსხვილესი ანგარიშით მოაგებინა.

დერბელთა იერიშები კი სახსენებლადაც არ ღირს. მხოლოდ მალკოლმ კრისტის ჰქონდა ერთი კარგი მომენტი, მაგრამ როი კეროლმა აუღო — ამ დროისთვის მთელი 83 წუთი უსაქმოდ მყოფი ფაბიენ ბარტეზი უკვე გასული იყო.

და ალექს ფერგიუსონი? ამ გამარჯვებამ მწვრთნელს თავბრუ დაასხა და რამდენიმე დღით ადრე თავისივე ნათქვამი დაავიწყა. შეგახსენებთ, სერ ალექსი ამბობდა, უკვე იმდენი თამაში წავაგეთ, ჩემპიონობის შანსი აღარ გვაქვსო. ახლა კი მან თქვა: „ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ. ჩვენი ბიჭები, განსაკუთრებით კი როი კინი, ნიკი ბატი, პოლ სქოულზი და ძმები ნევილები, არასდროს ნებდებიან. მთავარია, ძველი შეცდომები აღარ გავიმეოროთ“.

„ენფილდზე“ კი „ლივერპული“ და მაიკლ ოუენი ამაოდ ცდილობდნენ „ფულემისთვის“ თუნდაც ერთი გოლის გატანას. ოუენი შემთხვევით არ გვიხსენებია — ჯერ ერთი, ის მერსისაიდელთა უპირველესი მეგოლეა (ამ სეზონში კლუბსა და ნაკრებში ოცი გოლი) და მეორეც, რაც ოუენს „ლივერპულის“ მაისურა აცვია, ანუ ფეხის აღგმიდან, კლუბისთვის ოთხმოცდაცხრამეტჯერ გაუტანია. ჰო, დღეს ბიჭს 22 წელი უსრულდება და მეასე გოლით თავის თავს დიდებულ საჩუქარს მიუძღვნიდა.

„რა ვუყოთ, ხალხი მუდამ მისი გოლების მოლოდინშია, მაგრამ ყოველ მატჩში ხომ ვერ გაიტანს — თქვა ნამატჩევს ლივერპულელთა მწვრთნელმა ფილ ტომპსონმა — თუმც არა უშავს, მეასე გოლი არსად დაეკარგება“.

აღვნიშნოთ, რომ ოუენი მოედანზე საუკეთესო იყო, მომენტებიც ბლომად ჰქონდა, მაგრამ ლონდონელთა მეკარე ედვინ ვან დერ სარმა მისი დასაჩუქრება არ ინდომა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 15 | 10 | 3 | 2 | 25:11 | 33 |
| არსენალი | 15 | 8 | 5 | 2 | 33:17 | 29 |
| ლიდსი | 15 | 7 | 7 | 1 | 18:9 | 28 |
| ნიუკასლი | 15 | 8 | 3 | 4 | 25:18 | 27 |
| მანჩესტერი | 16 | 7 | 3 | 6 | 36:27 | 24 |
| ჩელსი | 16 | 5 | 9 | 2 | 19:12 | 24 |
| ასტონ ვილა | 16 | 6 | 6 | 4 | 21:18 | 24 |
| ტოტენჰემი | 16 | 7 | 3 | 6 | 25:23 | 24 |
| ფულემი | 16 | 5 | 8 | 3 | 17:13 | 23 |
| ჩარლტონი | 16 | 5 | 6 | 5 | 21:20 | 21 |
| ევერტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:19 | 20 |
| ბოლტონი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:21 | 20 |
| სანდერლენდი | 16 | 5 | 5 | 6 | 13:15 | 20 |
| ბლექბერნი | 16 | 4 | 7 | 5 | 22:19 | 19 |
| მიდლსბრო | 16 | 5 | 4 | 7 | 17:22 | 19 |
| ვესტ ჰემი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:28 | 19 |
| საუთჰემპტონი | 15 | 4 | 1 | 10 | 15:24 | 13 |
| დერბი ქაუნთი | 16 | 3 | 4 | 9 | 11:29 | 13 |
| ლესტერი | 16 | 3 | 4 | 9 | 9:29 | 13 |
| იფსვიჩი | 16 | 1 | 6 | 9 | 14:25 | 9 |

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ქოვენთრი**

1:0 კონვეი (73პ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 23 | 14 | 4 | 5 | 45:31 | 46 |
| სიტი | 23 | 13 | 3 | 7 | 52:33 | 42 |
| ვულვზი | 23 | 12 | 6 | 5 | 34:18 | 42 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 13 | 2 | 8 | 26:19 | 41 |
| ნორვიჩი | 23 | 12 | 3 | 8 | 31:32 | 39 |
| კრ. პალასი | 23 | 12 | 1 | 10 | 45:34 | 37 |
| ქოვენთრი | 23 | 11 | 4 | 8 | 28:22 | 37 |
| პრესტონი | 23 | 9 | 9 | 5 | 39:30 | 36 |
| ბირმინგემი | 23 | 10 | 6 | 7 | 38:30 | 36 |
| მილუოლი | 22 | 10 | 5 | 7 | 38:28 | 35 |
| პორტსმუთი | 23 | 9 | 6 | 8 | 36:35 | 33 |
| უოტფორდი | 22 | 9 | 5 | 8 | 35:26 | 32 |
| ბრედფორდი | 23 | 9 | 5 | 9 | 43:41 | 32 |
| ნოტინგემი | 23 | 7 | 9 | 7 | 26:23 | 30 |
| ჯილინგემი | 23 | 8 | 6 | 9 | 34:32 | 30 |
| შეფილდი | 23 | 7 | 9 | 7 | 25:27 | 30 |
| უიმბლდონი | 23 | 7 | 8 | 8 | 38:37 | 29 |
| ქრიუ | 23 | 7 | 7 | 9 | 24:36 | 28 |
| როტერჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 29:37 | 25 |
| უენსდი | 23 | 5 | 8 | 10 | 25:36 | 23 |
| ბარნსლი | 23 | 5 | 6 | 12 | 30:48 | 21 |
| გრიმსბი | 23 | 5 | 6 | 12 | 22:43 | 21 |
| უოლსოლი | 23 | 5 | 5 | 13 | 24:40 | 20 |
| სტოკპორტი | 23 | 2 | 6 | 15 | 22:51 | 12 |



# ავღანური სინდრომი
## ფაულერს იარაღზე ჩამოძინა

**დასავლეთ** იორკშირის პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა: „საშაბათს, ღამის 11.45 საათზე, ჰანსლიტში დავაკავეთ 25 და 26 წლის ორი მამაკაცი, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში. მოგვიანებით ისინი ბრალდების წაუყენებლად გავათავისუფლეთ“.

ამ ცნობიდან ჩვენთვის 26 წლის მამაკაცის ვინაობაა საინტერესო, რაკი ის რობი ფაულერი გახლავთ.

„ლიდსში“ რაღაც ხდება — იქ მოთამაშენი კრიმინალური ქრონიკის მუდმივი სტუმრები არიან. ლი ბოიერის და ჯონათან ვუდგეიტის საქმე, მალე ორი წელი გახდება, რაც სასამართლოში ირჩევა (ვერდიქტს, ალბათ, ამ დღეებში გამოიტანენ).

რობი ფაულერის ამბავი კი ასე იყო:

შობამდე ათიოდე დღეა დარჩენილი, „ლიდსის“ ხელმძღვანელობამ კი სამშაბათს გადაწყვიტა, ფეხბურთელებისთვის წვეულება მოეწყო. შევნიშნოთ, რომ იქაური წვეულება რამდენადმე განსხვავდება ქართულისგან, რაკი გადაბმულად რვა საათი სუფრასთან არ სხედან. ფეხბურთელებს შესთავაზეს, სამასკარადო ფორმები ჩაიცვით და ისე მოვილხინოთო. მოთამაშეთა უმრავლესობამ გაიხსენა, რომ ავღანეთში ომია და სამხედრო ტანსაცმლითა და სათამაშო იარაღებით გამოცხადდნენ „იორკ პალასში“, რომელიც მოდური ლიდსური ბარია.

რამდენიმე საათში ბიჭებს „იორკ პალასი“ მობეზრდათ და „ბრეიქ ფორ ბორდერში“ გადაინაცვლეს. იქ რიო ფერდინანდს გაახსენდა, რომ ქალაქში ერთი ბარის მფლობელი თავადაა და წვეულება მის „სუტრა ბარში“ გაგრძელდა (კამა სუტრასთან კავშირი არ შეინიშნება).

სამივე ბარის დაცვა ირწმუნება, ყველანი ძალიან წესიერად იქცეოდნენო. თერთმეტი საათისთვის რობი ფაულერს და ერთ მის ძმაკაცს გართობა მობეზრდათ და სასტუმროში წასვლა გადაწყვიტეს, ტაქსი გააჩერეს და ჰანსლიტის უბნისკენ გასწიეს.

რა ემართებათ ხშირად მთვრალ კაცებს, წვეულებიდან რომ ბრუნდებიან? ეძინებათ. ჰოდა, ფაულერს ტაქსში ჩაეძინა.

ახლა წარმოვიდგინოთ, სასტუმროსთან ფოტოაპარატიანი კაცი მდგარა. ხედავს: ჩერდება ტაქსი, რომელშიც სამხედროფორმიანი რობი ფაულერი ზის, ფანჯრისთვის თავი მიუდია და სძინავს. ცხადია, სასწრაფოდ აპარატი მოიმარჯვა. ფოტოგრაფმა ერთი რამ ვერ გათვალა — ფაულერის ძმაკაცი ფხიზლობდა.

ნახე, გვიდებსო, გაალვიძა ძმაკაცმა ფაულერი და ფოტოგრაფს აპარატი წაართვეს — ცხადია, დაუმტვრიეს კიდეც. აი, ასე იყო.

როგორც თავშივე ვთქვით, ფაულერი ოდენ პოლიციაში რამდენიმესაათიანი ყურყუტით გადარჩა, კლუბის თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილმა კი თქვა, რობი წესიერი ბიჭია, ან ის რამდენიმე საათი რად გაატარებინეს პოლიციაშიო.

**გიორგი დარჯანია**

# ჯიმის ფინალი

### ლიგის თასი. მეოთხედფინალი

**ჩელსი 1:0 ნიუკასლი**

1:0 ჰასელბაინკი (90)

**ჯიმი** ფლოიდ ჰასელბაინკის ნაგვიანევმა გოლმა „ჩელსი“ ლიგის თასის ნახევარფინალში გაიყვანა. „ლურჯების“ გატანილი ბურთი მთლიანად ჰოლანდიური გახლდათ. შავკანიანმა თავდამსხმელმა შეცვლაზე შესული თანამემამულის, ბუდევინ ზენდენის კარგი პასის შემდეგ იხეირა. ეს მატჩის მიწურულს, ჩვენებურად მსაჯის მიერ დამატებულ, მათებურად კი „ექსტრატაიმში“ მოხდა. მანამდე „სტემფორდ ბრიჯის“ სტუმრები, ჩრდილოელი ნიუკასლელები, ჩვეული ჯიგრით იბრძოდნენ. „ჯორდების“ თავგანწირვა ჰასელბაინკის გოლმა ჩაყარა წყალში და მათი ლონდონური წარუმატებლობის სერიას კიდევ ერთი მოუგებელი თამაში შეემატა. „ნიუკასლს“, ლიგის თასის მეოთხედფინალური მატჩის ჩათვლით, დედაქალაქში ბოლო ოცდაცხრა სტუმრობისას ერთხელაც ვერ უმარჯვია.

მატჩის გმირი მძიმე ოთხმოცდაათი წუთის შემდეგ ბედნიერი იყო: „მოვიგეთ და ნახევარფინალში ვართ. ჩვენი მიზანი ფინალი და თასის მოგებაა. თამაში რთული იყო, თუმც „ჩელსის“ ნახევარფინალში გასვლა ლოგიკური და დამსახურებულია. მე ახლოს ვარ ჩემს პირველ ფინალურ მატჩთან და ოცნება ძალიან მხიბლავს. მაგრამ მანამდე ნახევარფინალია, რომელიც მეოთხედფინალზე იოლი ნამდვილად იქნება“.

**შეფილდ უენსდი — უოტფორდი**
19 დეკემბერს გაიმართება



ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა (მარცხნივ) დამატებითი დრო არ ინდომა

## ჰოლანდია

### თასის მერვედფინალი

**ვალვაიკი 1:2დ.დ. (1:1) პსვ**
0:1 ე. ადო (59), 1:1 პუგენდორპი (89), 1:2 ლუკაკუსი (102)
გიორგი გახოკიძე სრულად ითამაშა

**გრონინგენი 3:0 ზვოლე**
1:0 დრენტე (23), 2:0 ბროუვერი (32), 3:0 რობენი (62)

**აიაქსი (რეზერვი) 2:1დ.დ. (1:1) ტვენტე**
0:1 ზიომერი (27), 1:1 კულინა (90), 2:1 ულკერი (97პ)
გაძევება: ჰოჯე (44, აიაქსი), ჰულშოფი (44, ტვენტე)

**ფეიენოორდი 2:0 დენ ბოსხი**
1:0 შმოლარეკი (54), 2:0 ონო (64)

**აიაქსი 4:3დ.დ. (3:3) როზენდალი**
0:1 დენ უდენი (14), 1:1 ვან დერ ვაარტი (22), 1:2 ვან ლოენჰუტი (54პ), 1:3 ბერტოლგი (74), 2:3 ბერგდოლმო (76პ), 3:3 ვან დერ მეიდე (80), 4:3 ვამბერტო (106)

### მეოთხედფინალის წილისყრა

აიაქსი (რეზერვი) — ტილბურგი; უტრეხტი — ჰერენვენი; აიაქსი — გრონინგენი; ჰაგ ენდ ჰოვენი — ფეიენოორდი
მატჩები გაიმართება 2002 წლის 29-30 იანვარს

# თქვენ ქვევითა ხართ, ჩვენ ზევით

## გერმანია

### თასის მეთერთმეტედფინალი

**ოსნაბრიუკი 0:2 ბაიერნი**

0:1 იანკერი (49), 0:2 შოლი (62)
გაძევება: რ. კოვაჩი (75, ბაიერნი)

### თასის მერვედფინალი

**აინტრახტი 1:2დ.დ. (1:1) ჰერტა**

1:0 ჩენ იანგი (23), 1:1 სიმუნიჩი (75), 1:2 დარდაი (96)

**იურდინგენი 1:1დ.დ. (პენ.3:5, 1:1) კიოლნი**

0:1 კურტი (61), 1:1 ს. როდრიგესი (72)

**დარმშტადტი 0:1დ.დ. (0:0) შალკე**

0:1 სანდი (115)
გაძევება: მატელანი (48, შალკე), იუშკიჩი (83, დარმშტადტი)

**სამშაბათის** მატჩებისა არ იყოს, გერმანიის თასზე ოთხშაბათსაც მხოლოდ სტუმრებმა იხეირეს.

ბუნდესლიგის ჩემპიონ „ბაიერნს“ დიდად არ გასჭირვებია მესამელიგელი „ოსნაბრიუკის“ დამარცხება და მერვედფინალში გასვლა. ეს მატჩი მიუნხენელებმა 2:0 მოიგეს, გოლები კი კარსტენ იანკერმა და მომჯობინებულმა მეჰმეთ შოლმა გაიტანეს.




დარმშტადტი — შალკე. მასპინძელთა მწვრთნელმა უვე ფაიხტენბაინერმა და „შალკეს“ მენეჯერმა რუდი ასაუერმა მატჩის ყურებას თავი ანებეს და საქმე გაარჩიეს

თასის მფლობელი გელზენკირხენის „შალკეც“ რეგიონალლიგელ „დარმშტადტს“ დაუპირისპირდა. ცნობისთვის: ეს ის „დარმშტადტია“, რომელმაც თასიდან ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ გააძევა.

მასპინძლები კვლავ ახლოს იყვნენ მორიგ სენსაციასთან, მაგრამ დამატებითი დროის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გელზენკირხენელი სანდისგან გოლი მიიღეს და შეჯიბრს გამოეთიშნენ. საერთოდ კი თამაში უხეში გამოდგა და მსაჯმა ორივე გუნდს თითო-თითო ფეხბურთელი გაუძევა.

ასევე დამატებით დროში იმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა ბერლინის „ჰერტა“, რომელმაც სტუმრად მეორებუნდესლიგელი „აინტრახტი“ დაამარცხა. ფრანკფურტელებმა ჩენ იანგის გოლით კი მოიგეს პირველი ტაიმი, მაგრამ მეორეში, მერე კი დამატებითში ბერლინელთა გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

120 წუთი საკმარისი არ აღმოჩნდა არჩილ არველაძის „კიოლნსა“ და მესამელიგელ „იურდინგენს“ შორის უკეთესის გამოსავლენად, თერთმეტმეტრიანების სერიაში კი კიოლნელებმა იმარჯვეს — 5:3.

**ლუკა გეგეჭკორი**

## ბელგია

### თასის მერვედფინალი

**ლიერსი 2:0 აალსტი**

1:0 ტომპსონი (2), 2:0 იანსენსი (60)
ლიერსი: დემანი, სმეეტსი (გადიაგა 46), ნაჯი, შიშილაძე, პოორტერსი, სელსი, სნოექსი, ლაერემანსი, ბიუსკენსი (კაჩიჩი 73), ტომპსონი (იანსენსი 57), ფრიგარდი
მამუკა წერეთელი სამუშაო ვიზის მოლოდინშია
მწვრთნელი: რენე ვან ეკერი
მსაჯი: დე ფლეკერი
2 200 მაყურებელი

**მუსკრონი 4:1 მოლენბეკი**

1:0 გრეგორი (9), 1:1 ორიგი (34), 2:1 დე ფლიშაუერი (41), 3:1 მარჩინ ჟევლაკოვი (47), 4:1 მარტინი (89)

**ლუვიე 2:1 ტუბეკე**

1:0 ალიაი (73), 1:1 დერევი (75), 2:1 ბიულინქსი (90)

**ლოკერენი 1:0 ოდ-ევერლე**

1:0 ბანგურა (88)

**ტურნჰა 2:3 ბევერენი**

0:1 ვან რუმსტი (7), 0:2 იაპი-იაპო (20), 1:2 ასამოა (50), 2:2 ჯეკობსი (83), 2:3 გრონდინი (90)

**ბეერსხოტი — სენტ ტრუიდენი**

15 დეკემბერს გაიმართება

# პატარა ტარაგონას დიდი სიხარული

## ესპანეთი

### თასის მერვედფინალი. I მატჩები

**ხიმნასტიკი 1:0 რეალი**

1:0 კარანკა (82ს.კ.)
რეალი: სესარი, ჯერემი, პავონი, კარანკა, ბრავო, სელადესი, ელგერა (მორხა 60), რივერა, რაული (მინამბრესი 69), სოლარი, მუნიტისი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
12 000 მაყურებელი

**ბადახოსი 1:3 ვალიადოლიდი**

0:1 ტურუ ფლორესი (29), 1:1 როდრი (31), 1:2 გარსია (46), 1:3 ტოტე (70)

**სიუდად დე მურსია 0:0 რაიო ვალეკანო**

**კორდობა 2:1 მალიორკა**

1:0 პლატერო (22), 1:1 რიერა (66), 2:1 ლავალი (70)

**ფიგერესი 2:1 ნოველდა**

1:0 არნაუ (47), 1:1 მადრიგალი (73), 2:1 არნაუ (84)



„რეალის“ კაპიტანი აიტორ კარანკა ეგებ, ტარაგონას საპატიო მოქალაქედ აირჩიონ

**სალამანკა 2:2 ბილბაო**

0:1, 0:2 ეზკერო (22, 44), 1:2, 2:2 როხერიო (56, 73)

**სპორტინგი 2:4 ვილიარეალი**

1:0 ალვარესი (22), 1:1 კრაიოვეანუ (44), 1:2 ანტონიო ლოპესი (58), 1:3 ხოსე მარტინი (61), 1:4 ანტონიო ლოპესი (75), 2:4 ალვარესი (90)

**„ხიმნასტიკსა“** და მადრიდის „რეალს“ შორის სათასო მატჩის 81 წუთი მიწურულიყო. ამ დრომდე გუნდებმა ერთმანეთს ბურთი ვერ გაუტანეს. ტარაგონას სტადიონზე შეკრებილი 12 ათასი ფანი კი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მათმა საყვარელმა გუნდმა მშრალად შეინახა კარი და თან ვარსკვლავებით სავსე მადრიდული კლუბი იხილა — ვინ იცის, კიდევ რამდენმა წელიწადმა უნდა ჩაიაროს, „სამეფო კლუბმა“ ისევ რომ გააგოროს ბურთი ტარაგონაში. თუმცა აქვე ისიც დავუმატოთ, რომ „რეალმა“ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა და ტარაგონელებს ზინედინ ზიდანი და ლუიშ ფიგუ არ უნახავთ. მოდით, ისიც ვთქვათ, რომ „ხიმნასტიკი“ ის გუნდია, ესპანეთის მეორე დივიზიონში წლეულს რომ ალზევდა, თუმცა, ისე სუსტად თამაშობს, სეზონის ბოლოს ეგებ მესამე დივიზიონს დაუბრუნდეს.

ახლა მთავარზე ვთქვათ. იმ 12 ათას მაყურებელში, ალბათ, ცოტა თუ მოიძებნებოდა ისეთი, მატჩამდე რომ ეთქვა, „ხიმნასტიკი“ მოიგებსო. თავად განსაჯეთ, გუნდს მეორე დივიზიონში ვერ გაუშლია მხრები და რა ფანტაზია უნდა ჰქონოდა კაცს, „რეალთან“ გამარჯვებაზე რომ ეოცნება. მაგრამ ტარაგონაში სენსაცია მოხდა... „ხიმნასტიკმა“ „რეალთან“ გამარჯვებულმა დატოვა მოედანი, თუმცა მადლობა აიტორ კარანკას ეკუთვნის, რომელმაც 82-ე წუთზე საკუთარ კარში გაიტანა ბურთი.

ახლა „ხიმნასტიკი“ საპასუხო მატჩისთვის „სანტიაგო ბერნაბეუს“ უნდა ესტუმროს. ტარაგონელები, ალბათ, სინანულით იძახიან, ეს აქ გაგვიმართლა, თორემ „რეალი“ შინ გაგვაცამტვერებსო. მერე ვიღაც გამოვა და იტყვის, შე კაცო, თუ გამართლებაა, ბოლომდე გამართლება იყოსო.

**ნიკა შუბლაძე**




რეინჯერსელმა რონალდ დე ბურმა პოლ ფენვიკი იოლად ჩამოიცილა

# თარსი მაკლიში და ადვოკაატის სიბრძნე

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**რეინჯერსი 1:1 ჰიბერნიანი**

0:1 ლუნა (21), 1:1 რიკსენი (57)
რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, კ. მური, ნუმანი, უილსონი (ბ. ჰიუზი 46), ტ. ვიდმარი, ლატაპი (კანიჯა 71), მ. როსი, რ. დე ბური, შ. არველაძე, ფლო (მაკკანი 46)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
მსაჯი: როუბოთემი
46 179 მაყურებელი

**პირველადგილოსან** და თამაშნაკლულ „სელტიკთან“ სხვაობა თერთმეტ ქულამდე კი შეამცირეს აიბროქსელებმა, მაგრამ დიკ ადვოკაატი ყურებჩამოყრილი გააცილეს მენეჯერობიდან. შეფიქრიანებული იყო „ჩაფართა“ დირექტორატის ლოჟაში მოკალათებული ალექს მაკლიშიც, რომლის სამწვრთნელო დებიუტი „რეინჯერსში“ შაბათს შედგება „მოზერუელთან“.

მაკლიშის ყოფილი კლუბი ვარსკვლავებს როდი წყვეტდა. ერთი სახიფათო იერიში მიიტანა შტეფან კლოსის კარზე, ისიც გოლად აქცია და დაცვაში ჩაჯდა. ფრანგი დავიდ ზიტელი მარცხენა ფლანგზე გაიჭრა, უზადოდ ჩააწოდა „რეინჯერსის“ საჯარიმოში, სადაც ესპანელმა ფრანსისკო ლუნამ ლამაზი თავურით კლოსს აუღებელი დაურტყა. გოლი 21-ე წუთზე გავიდა, რეპორტიორებმა კი ისიც ზუსტად დააფიქსირეს, რომ ალექს მაკლიში მატჩზე დაგვიანებით გამოცხადდა, გოლამდე ერთი წუთით ადრე.

„რეინჯერსი“ შმაგობდა, მარწუხებს უჭერდა და „ჰიბერნიანს“ ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. გაშვებულ გოლამდე მე-4 წუთზე ნუმან-არველაძე-დე ბურის კომბინაცია ტორე ანდრე ფლოს გოლით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ნორვეგიელის გასროლილს ნიკ კოლგანი გადაეფარა.

შემდეგ რასელ ლატაპის ჩაწოდებულზე მორის როსს მართებდა გატანა — მისი თავური ნიკ კოლგანს კი გადასცდა, მაგრამ ბურთი ზედ კარის ხაზიდან იან მიურეიმ კუთხურზე მოიგერია.

„ჰიბერნიანის“ დაწინაურების შემდეგ კი კვლავ ფლომ გააცუდა დამაგვირგვინებელი დარტყმა — დე ბურის მარჯვნიდან ჩახვეულს ახლოდან არაზუსტი თავური მიაყოლა. პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე ფერნანდო რიკსენმა ხელსაყრელი სიტუაციიდან ხარიხას გადააცილა ბურთი.

ლატაპის ჩაწოდებული კუთხური ტონი ვიდმარს მიუვიდა, მაგრამ „ჩაფართა“ მცველმა სასწაულებრივად აიცილა ბურთი „ჰიბერნიანის“ კარს.

სამაგიეროდ, „რეინჯერსსმა“ ისეთი გოლი გაიტანა, რომელიც არ უნდა გასულიყო. არველაძემ რიკსენს დაუგორა, ბურთი სტუმართა მცველ პოლ ფენვიკს მოხვდა და რიკოშეტით გაეხვია კოლგანის ბადეში.

შოთა კიდევ ორჯერ გაისარჯა კარგი გადაცემისთვის, მაგრამ ორჯერვე ნუმანმა ვერ ივარგა — ჯერ პირდაპირ კოლგანს დაუმიზნა ბურთი, მერე ხარიხასთან ჩაიზუზუნა.

„არასოდეს მინახავს, რომ გუნდი ამდენ საგოლე მომენტს ქმნიდეს, როგორც ამ საღამოს ეს „რეინჯერსმა“ მოახერხა. ეს საწყენია. პრინციპში საფეხბურთო სიბრძნე იმას ქადაგებს, რომ თუ საგოლე მომენტებს ქმნი, ეს ერთობ მნიშვნელოვანია, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმა — არ აქვს მნიშვნელობა ამას, შენ როგორ ასრულებ — როგორც ჩანს, ზოგიერთი ფეხბურთელისთვის საკმაოდ რთულად შესასრულებელია“ — ასეთი იყო დიკ ადვოკაატის რეზიუმე.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 17 | 16 | 1 | 0 | 41:6 | 49 |
| რეინჯერსი | 18 | 11 | 5 | 2 | 40:13 | 38 |
| ლივინგსტონი | 17 | 9 | 6 | 2 | 26:12 | 33 |
| აბერდინი | 18 | 9 | 2 | 7 | 28:27 | 29 |
| კილმარნოკი | 18 | 7 | 3 | 8 | 20:21 | 24 |
| დანდი | 18 | 6 | 5 | 7 | 18:25 | 23 |
| დანდი იუნ. | 18 | 5 | 6 | 7 | 19:31 | 21 |
| ჰიბერნიანი | 18 | 5 | 5 | 8 | 26:29 | 20 |
| ჰარტსი | 18 | 5 | 3 | 10 | 21:26 | 18 |
| მოზერუელი | 18 | 4 | 5 | 9 | 21:34 | 17 |
| დანფერმლაინი | 18 | 5 | 2 | 11 | 22:37 | 17 |
| სტ ჯონსტონი | 18 | 2 | 3 | 13 | 12:33 | 9 |

# ჰისავ გვინდა, გაგვატარეთ

## იტალია

### თასის მერვედფინალი
### საპასუხო მატჩი

**იუვენტუსი 5:2 სამპდორია (2:1)**

1:0 მარესკა (5), 2:0 ფერარა (15), 2:1 ლუიზო (16), 3:1 ზალაიეტა (21), 4:1, 5:1 ნ. ამორუზო (30პ, 42), 5:2 პოსანცინი (80)

### თასის მეოთხედფინალი. I მატჩი

**რომა 0:1 ბრეშა**

0:1 შოპი (82)

**მოგებას** დანატრებულმა ტურინის „იუვენტუსმა“ დაგროვილი ბოღმა ერთბაშად გენუის „სამპდორიაზე“ ამოანთხია. მეორე შემადგენლობით მოთამაშე მარჩელო ლიპის შეგირდებმა სერია B-ს ცხრილის შუაში მოტრიალე გენუელებს გადაურბინეს. სტუმართა მეკარესაც რაღა დარჩენოდა — ფაბრიციო კაზაცამ პირველივე ტაიმში ხუთჯერ გამოიტანა ბურთი კარიდან. „იუვენტუსი“ მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მას ბერგამოს „ატალანტა“ ელის. ნიკოლა ამორუზომ დუბლი გააზერხა, სტუმართა რბევა კი ენცო მარესკამ დაიწყო. გაიხარა ვეტერანმა მცველმა ჩირო ფერარამაც.

აი, „სტადიო ოლიმპიკოზე“ კი ჩემპიონი „რომა“ შერცხვა. ფაბიო კაპელომ კარლო მაცონეს თითქმის სათადარიგო შემადგენლობა დაახვედრა. მხცოვანმა კარლიტომ, შენ, ალბათ, თასი აღარ გინდაო, „ოლიმპიკოზე“ შეკრებილი 6 220 მაყურებლის თვალწინ ყველა უძლიერესი იხმო, ცხადია, ტრავმირებული რობი ბაჯოს გარდა.

ლოგიკური გახლდათ მატჩის დასრულებამდე რვა წუთით ადრე ავსტრიელი მარკუს შოპის გატანილი გოლიც, თუმცა მანამდე მარკო დელვეკიოს ორ ეპიზოდში რომ ეყოჩაღა, იქნებ „რომას“ არც წაეგო.

„ბრეშამ“ ამ მოგებით ჩინებული შანსი შეიქმნა ნახევარფინალში გასასვლელად. თუ გააღწიეს, ფინალამდე „პარმა“ — „უდინეზეს“ შორის გამარჯვებულს შეხვდებიან.

ნამატჩევს კარლო მაცონეს შეგირდებისთვის უთქვამს, რაც უნდა იყოს, „რომაა“, თავში არ აგივარდეთ და იქნებ შემდეგ ეტაპზეც გავძვრეთო. კაპელომ კი პრესკონფერენციაზე თავი იმით იმართლა, კვირას „მილანთან“ უფრო მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩი გველის და ძირითადის ხალხიც ამიტომ დავასვენეო.

რას ერჩით, მართალი უთქვამს მაცონეს, მაგრამ მართლა არ აინტერესებს „რომას“ ქვეყნის თასი?..

**გიორგი გუგაძიძე**



რომა — ბრეშა. ბურთი არც მასპინძელ დამიანო ტომაზის (№17) ეთმობა და არც მასიმო ესპოზიტოს

# ქალო, განახეთ ტანშიშველი

## ჰოლანდია სტრიპტიზმა შეიწირა

**არც მეტი**, არც ნაკლები, ყველაფერში დამნაშავე ქალია, პირ-მკერდტან მშვენიერი და თანაც შიშველი. დამნაშავე ლამაზმანი დანიელია, დაზარალებულნი კი ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელები: ფრანკ დე ბური, ედგარ დავიდსი და პატრიკ კლუივერტი. ამ ბოლო ხანს ჰოლანდიელთა თავს დატრიალებულ უსიამოვნო ამბებს თუ გავიხსენებთ, ნანდროლონის მიღებაში მხილებულ ფეხბურთელებს ვგულისხმობთ, თავში ნახსენებ ქალსა და დოპინგს ერთმანეთს დავუკავშირებთ, მაგრამ ძაღლის, უკაცრავად, ქალის თავი სხვაგანაა დამარხული.

ნანდროლონი იქით იყოს და, წლეულს ჰოლანდიის ნაკრებს დოპინგზე უარესი უბედურება შეემთხვა — კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატი მის გარეშე ჩაივლის, ჰოდა, იქ ვერმოხვედრის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ დედიშობილა სკანდინაველი დიაცი დაასახელეს.

საქმე ისაა, რომ დანია — ჰოლანდიის ამხანაგური მატჩის წინა დღეს ზემოთხსენებულ სამ ჯეელს ლამაზი სხეულით ტკბობა მონდომებიათ და მწვრთნელის, ლუის ვან გაალის დაუკითხავად სასტუმროში დაუპატიჟიათ სტრიპტიზიორი, რომელსაც თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად შეუსრულებია. მაგრამ ხელობას არც დანიელმა ჟურნალისტებმა უღალატეს და ეს ამბავი ქვეყანას ამცნეს.

თითქოს ამას ელოდაო, ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელობიდან გადამდგარმა ლუის ვან გაალმაც ხმა ამოიღო: ჯერ კიდევ, როდის ვამბობდი, გუნდის წარუმატებლობა, უპირველესად, ზოგიერთი ფეხბურთელის არაპროფესიონალიზმის ბრალიაო.

მართლაც, ბევრმა გაიხსენა, რომ ვან გაალს პრესკონფერენციებზე ასეთი რამ ხშირად უთქვამს და ისიც მოაგონდათ, თანამდებობიდან გადადგომა მწვრთნელმა სწორედ დანია-ჰოლანდიის მატჩის შემდეგ რომ ითხოვა.

დე ბური, დავიდსი და კლუივერტი, ცხადია, ყველაფერს უარყოფენ, ნიდერლანდების სამეფოს ფეხბურთის ასოციაციამ კი გამოძიების დაწყება ბრძანა.

**ბაჩა ხურციძე**

# ბლაჟევიჩმა უკრაინისკენ გაიხედა...

**ხორვატი** სპეციალისტი მიროსლავ ბლაჟევიჩი კიევში ჩაფრინდა და „დინამოს“ კონჩა-ზასპას საწვრთნელ ბაზაზე უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გრიგორი სურკისს ოთხ საათს ელაპარაკა. საუბრის თემა კონკრეტული იყო, ბლაჟევიჩი, შესაძლოა, უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მის კანდიდატურას ფედერაციის აღმასკომი ხვალ თავის რიგგარეშე კონგრესზე დაამტკიცებს. სურკისთან კი ყველაფერი უკვე შეთანხმებული ყოფილა.

„სხვა კანდიდატებზე გეტყვით, რომ მიხაილ ფომენკომ, ვისთანაც კიევის „დინამოშიც“ მიმუშავია, მითხრა, ნაკრებში მუშაობა ჩემთვის ჯერ ადრეაო, ხოლო ოლეგ ბლოხინმა დაკავებული ვარო — ასე განუცხადა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს“ — დასძინა სურკისმა.

ასე რომ, ნაკრების მწვრთნელობის ორი კანდიდატი დარჩა: ბლაჟევიჩი და ლეონიდ ბურიაკი.

ბლაჟევიჩმა კი უკრაინელ ჟურნალისტებს უთხრა: „უკრაინის ეროვნული გუნდის მწვრთნელობა ჩემთვის სხვა წინადადებებზე საინტერესოა. ამ ამბიციურ გუნდს 1997 წლიდან ვიცნობ, როცა ხორვატიის ნაკრებს ვწვრთნიდი და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში შევხვდით“.

შეგახსენებთ, ბლაჟევიჩი ბოლო დრომდე ირანის ეროვნულ გუნდს თავკაცობდა და ამბობდა, თუ კორეა-იაპონიის საგზური ვერ მოვაპოვებინე, ხარიხაზე თავს ჩამოვიხრჩობო. ირანი პლეი ოფში ირლანდიასთან დამარცხდა, ბლაჟევიჩმა კი უკრაინისკენ გაიხედა.

**სოლომონ გულისაშვილი**

2001 COPA MERCOSUR

## მერკოსურის თასი

### ფინალი. 1 მატჩი. 12 დეკემბერი

# იმ ფეხბურთისა რა მოთქვით, ტელესერიალს რომ ვერ აჯობებს

| | |
|---|---|
| ფლამენგო (ბრაზილია) | 0 |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 0 |

გაძევება: ედილსონი (75, ფლამენგო)
მსაჯი: ეპიფანიო გონსალესი (პარაგვაი)
60 000 მაყურებელი
საპასუხო მატჩი გაიმართება 19 დეკემბერს

**მერკოსურის თასის** პირველი ფინალური მატჩის მიმოხილვა ცოტა შორიდან დავიწყოთ.

სამხრეთამერიკული ფეხბურთის ჩვენებურ ტრფიალთ ეგებ არც სმენიათ იმ ტურნირების სახელები, რომლებიც იქ იმართებოდა ან ახლაც ტარდება. სხვა საქმეა კოპა ლიბერტადორესი. ის იგივე წონისაა, რაც ჩვენი, ევროპული ჩემპიონთა ლიგა. იცოცხლეთ, ამ ტურნირის მაყურებელი დაბალ სათამაშო კლასს ნამდვილად არ უჩივის და 1960 წლიდან მოყოლებული სამხრეთამერიკული გრანდების ჭიდილს სიამოვნებით ადევნებს თვალს. იქაურთა ჩემპიონთა ლიგამ დროის გამოცდას გაუძლო, მაგრამ სხვა ტურნირები...

კოპა მერკოსურისა და კოპა მერკონორტეს გათამაშებებზე, ტოტალიზატორების ცხრილებში მაინც წერია, აი, რეკოპა, სუპერკოპა, კონმებოლის თასი და, ალბათ, კიდევ ბევრი სხვა, თითოოროლას თუ სმენია. თუმცა მათ დიდხანს არც შეუწუხებიათ გულშემატკივარი, მალევე მიიცვალნენ.

კოპა მერკოსური 1998 წლიდან ტარდებადა, მასში სამხრეთ ამერიკის კონფედერაციის მიერ მიწვეული ოცი გუნდი თამაშობს — შიდა ჩემპიონატებზე ნაჩვენებ შედეგს მნიშვნელობა არ აქვს.

წინა სამ გათამაშებაში ბრაზილიურმა კლუბებმა იმარჯვეს. წლევანდელ ფინალში კი ბრაზილიური „ფლამენგო“ არგენტინის ჩემპიონატის ლიდერ „სან ლორენსოს“ ეცილება თასს.

ბრაზილიურ — არგენტინული ფინალური დაპირისპირების პირველი მატჩი, რიო დე ჟანეიროში, ოცი წუთის დაგვიანებით დაიწყო. მიზეზი სამხრეთელთათვის ჩვეული სტადიონის ტკაცუნისა და ქომაგთა რაოდენობის შეუთავსებლობა გახლდათ. თამაშიც ნერვიული და ემოციური გამოდგა. არგენტინელები ფრისთვის თამაშობდნენ, მასპინძლები კი კარგად დაგეშილი მწევრებივით ეძებდნენ კარის გასაღებს, თუმცა სტუმრებს ქაოსურად უტევდნენ.

„ფლამენგოსა“ და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელ ედილსონს ნერვებმაც უმტყუნეს, მან აბეზარ მეურვეს გვარიანად მოუქნია იდაყვი და ამისთვის წითელი ბარათიც დაიმსახურა. რაღა თქმა უნდა, ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა და ქომაგებმაც აყალმაყალი ატეხეს, რამაც თამაში ცოტა ხნით შეაფერხა. ვიდეოფირზე კი ცხადად გამოჩნდა, რომ არბიტრი ეპიფანიო გონსალესი არაფერში შემცდარა.

„სან ლორენსომ“ მიზანს მიაღწია და ახლა შინ შეეცდება, კოპა მერკოსურზე ბრაზილიელთა ბატონობას ბოლო მოუღოს. სტუმრად ფრე კარგი ფორაა და არგენტინულ კლუბს დიდი შანსი აქვს, ამ ტურნირის სავარაუდოდ უკანასკნელი გამარჯვებული გახდეს. დიახ, უკანასკნელი, რადგანაც სამხრეთამერიკული ფეხბურთის მესვეურნი უკვე სერიოზულად ალაპარაკდნენ მერკოსურისა და მერკონორტეს თასების გათამაშებათა უაზრობაზე.

კოპა მერკონორტეც, მერკოსურის დარად, ახალი წამოწყებაა, მაგრამ უფრო უსახური. ამ შეჯიბრების მონაწილეებსაც კონფედერაცია ირჩევს, თუმცა თუ კოპა მერკოსურზე ბრაზილიური, არგენტინული, ურუგვაული, პარაგვაული და ჩილეს კლუბები თამაშობენ, მერკონორტეს თასისთვის ბოლივიელები, კოლუმბიელები, ეკვადორელები, მექსიკელები, ვენესუელელები და ამერიკელებიც პაექრობენ.

თავს იკლავენო, ვერ ვიტყვით, მერკონორტეზე გუნდები ფინალშიც კი სათადარიგო შემადგენლობით თამაშობენ. ასე განსაჯეთ, ეკვადორული კლუბები ამ ტურნირს ეროვნული ჩემპიონატის თამაშებისთვის საწვრთნელად იყენებენ. რაღა ბევრს ვლაპარაკობთ, მატჩებზე დამსწრეთა რაოდენობა თავისთავად მეტყველებს ყოველივეზე. კოპა მერკონორტე, ალბათ, გინესის წიგნშია შესატანი: ეკვადორული „აუკასისა“ და პერუული „ალიანსა ლიმას“ შეხვედრას, არც მეტი, არც ნაკლები, ექვსი კაცი ესწრებოდა.

ძნელი მისახვედრი არ არის, რატომაც ფიქრობს სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაცია ახალ ტურნირზე. ეს ტურნირები ტელევიზიებს საეთერო დროის ათვისებაში უნდა შეშველებოდნენ. მაგრამ თამაშს, რომელზეც მხოლოდ ექვს კაცს ემეტება ბილეთის ფული, ცხადია, ასეთი იოლი ამოცანის შესრულებაც კი არ ძალუძს. კონტინენტის ფეხბურთის თავკაცები ახალი ტურნირის ფორმატზე ბჭობენ — კოპა მერკოსურისა და მერკონორტეს გაერთიანებაზე, მოკლედ, ისეთ რამეზე, რაც ერთდროულად ტელეარხების ხარვეზებს აღმოფხვრის, მატჩებსაც საინტერესოდ აქცევს.

წარმატების შემთხვევაში სამხრეთამერიკელი მამაკაცების სიხარულს საზღვარი არ ექნება: მათთვის წლის პირველი ნახევარი აზრიანია, მაშინ ხომ ლიბერტადორესის თამაშებია სანახავი. აი, მეორე ნახევარში კი ისეთ უაზრო კოპებს, მერკოსური და მერკონორტე რომაა, ისევ გულისამაჩუყებელი ტელესერიალის ნახვა სჯობს.

**გიორგი გამარდაშვილი**



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

სტუმარმა როდრიგო სურიტამ რეინალდო ოლივეირას და ბურთს ახედა

## ფეხბურთის რუკასთან



**თურქული** „გალათასარაის“ მთავარმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ განაცხადა, რომ მასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ მარსელის „ოლიმპიკის“ პრეზიდენტი რობერ ლუი-დრეიფუსი და სპორტული დირექტორი ბერნარ ტაპი.

**იტალიური „ინტერის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯუზეპე პრისკო, რომელსაც ორშაბათს 80 წელი შეუსრულდა, ინფარქტით გარდაიცვალა. ამის გამო კლუბმა დიდი მწუხარება გამოთქვა.**

**ესპანურმა** „რეალ სოსიედადმა“ „ლივერპულის“ მეკარე სანდერ ვესტერფელდის შეძენის და „ლაციოს“ თავდამსხმელის დარკო კოვაჩევიჩის დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ჰოლანდიელის აგენტის ტონ ვან დალუნის თქმით, საბოლოო გადაწყვეტილებას ჯერ ვერ მიიღებენ. თავად ფეხბურთელმა კი ჰოლანდიურ პრესას განუცხადა: „ეს პერიოდი დასასვენებლად გამოვიყენე და ვფიქრობ, ჩვეულ ფორმას ვიბრუნებ. მზად ვარ ნებისმიერ გუნდში სათამაშოდ“.

**გერმანული „ჰერტას“ ფორვარდი ალექს ალვეში ბრაზილიაში დაბრუნებას აპირებს. ბერლინელებს წინადადებით მიმართა „გრემიომ“, რომელსაც ტრავმის გამო ექვსი თვით გამოაკლდა ლეონარდო. 26 წლის ბრაზილიელის აგენტის თქმით, ალვეშის ოჯახი დიდი ხანია ბრაზილიაშია და „გრემიოს“ წინადადება მისთვის ძალიან ხელსაყრელია.**

**იაპონური** „ნაგოია გრამპუსის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იუგოსლაველმა დრაგან სტოიკოვიჩმა მათთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა მწვრთნელ-კონსულტანტის რანგში. შეგახსენებთ, რომ სტოიკოვიჩი „ნაგოია გრამპუსის“ ღირსებას იცავდა, როგორც ფეხბურთელი და 184 მატჩში 57 გოლი გაიტანა. 1995 წელს იგი იაპონიის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

**ინგლისურ „ბირმინგემ სიტის“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, სტივ ბრიუსი. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა კაპიტანმა კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**ბრაზილიის** 2000 წლის ჩემპიონატის გამარჯვებულმა „ვასკუ და გამამ“ გადაწყვიტა, ჟუნინიო მადრიდის „ატლეტიკოს“ დაუბრუნოს. ფეხბურთელი ორი წლით იყო განათხოვრებული. „იგი „ატლეტიკოს“ მოთამაშეა. ჩვენ მისი დახმარება აღარ გვჭირდება“ — განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა პაულუ რეიეშმა. ჟუნინიო თავის მხრივ გუნდს სამი თვის მიუღებელი ხელფასზე და პრემიაზე უჩივის.

**ინგლისის პრემიერლიგაში წლეულს აღზევებული „ფულემი“ ცდილობს, „პორტუს“ ბრაზილიელი ნახევარმცველი დეკო სოუზა და „სპორტინგის“ მარჯვენა მცველი სეზარ პრატესი გადაიბიროს.**

**ბერძნული** „პანათინაიკოსი“ პორტუგალიელმა ნახევარმცველმა პაულუ სოუზამ დატოვა. 30 წლის ფეხბურთელი და კლუბის ხელმძღვანელობა შეთანხმდნენ, გაეუქმებინათ კონტრაქტი, რომელსაც ვადა ზაფხულში უმთავრდებოდა. ამის მიზეზი ფეხბურთელსა და მთავარი მწვრთნელის თანაშემწე სტრატოს აპოსტოლაკის შორის უთანხმოება გახდა. კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პაულუ სოუზა „ბენფიკაში“ ან სხვა პორტუგალიურ გრანდში გადავა. მას სურს, პორტუგალიის ნაკრებში ადგილი შეინარჩუნოს.

**ინგლისური კლუბი „ევერტონი“ თავის გულშემატკივრებს დაემუქრა, გასვლითი შეხვედრების ბილეთებს აღარ მოგყიდითო. ბოლო ტურის მატჩში „ფულემთან“ იმ ტრიბუნიდან, სადაც ლივერპულელი ქომაგები იმყოფებოდნენ, ლონდონელი სტიდ მალბრანკის მისამართით ბოთლი ისროლეს.**

**აშშ-ს** საუკეთესო ფეხბურთელი ჰოლანდიური „ბრედას“ თავდამსხმელი ერნი სტიუარტი გახდა. მან უკან მოიტოვა ჯეფ აგოსი. გამოკითხვა 251 ჟურნალისტს შორის ჩატარდა.

**იტალიური „იუვენტუსის“ მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ მისი მიზანია, წლეულს თავის გუნდს მოაგებინოს იტალიის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი. „მე დავბრუნდი იმიტომ, რომ მენატრებოდა „იუვენტუსი“. მსურს გუნდთან ერთად გამარჯვებები და რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ. ხოლო კონტრაქტის დასრულების შემდეგ კარიერას უცხოეთში გავაგრძელებ“.**

**ინგლისური** „ლიდსის“ თავკაცი დევიდ ოლირი ოლივიე დაკურის ტრავმას შეუწუხებია. „დაუფიქრებელ ტრანსფერებს არასდროს ვანხორციელებდით, მომავალშიც ასე გავაგრძელებთ. ჩვენ ტრავმირებული მოთამაშეები გვყავს და ახალ წლამდე ბევრი თამაშია ჩასატარებელი“. ოლირისგან განსხვავებით, ოპტიმისტურად არის განწყობილი გუნდის კაპიტანი რიო ფერდინანდი და აცხადებს: „ლესტერთან“, „ევერტონთან“ და „ნიუკასლთან“ აუცილებლად ცხრა ქულა უნდა მოვიპოვოთ“.

**არგენტინული „რივერ პლეიტის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კოლუმბიელი მარიო იეპესი ფრანგულ „ნანტში“ გაყიდოს. სამხრეთამერიკელები ამ ტრანსფერით 2,5 მილიონ დოლარს მიიღებენ. იეპესი თავის მხრივ შეუერთდება ყოფილ თანაგუნდელ ნესტორ ფაბრის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

### შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

**გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 15 დეკემბერი | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.30 | 002 | ჰერტა-ლევერკუზენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.30 | 003 | ნიურნბერგი-ზტ. პაული | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-დორტმუნდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
— კარგი. ჩვენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ვართ. ფიფას რეიტინგში უკვე დიდი ხანია პირველობას არავის ვუთმობთ. ეს უამრავი ხალხის მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფი, მათი შრომის აღიარებაა. ფრანგები საუკეთესონი ვართ და გვინდა ასე კიდევ დიდ ხანს გაგრძელდეს.

**— კორეა-იაპონიაში ჩემპიონის ტიტულს დაიცავთ?**

— რა თქმა უნდა. საფრანგეთის ნაკრებმა ბოლოდროინდელი წარმატებების წყალობით საჭირო თვითრწმენა და პატივისცემა მოიპოვა. ახლა კონკრეტულად ვიცით, რა არის საჭირო გამარჯვების მისაღწევად, იმიტომ, რომ ეს გზა უკვე გავლილი გვაქვს. ცხადია, იღბალიც საჭიროა, მაგრამ განა ვინმე იტყვის საფრანგეთი ფავორიტი არ არისო? მთავარ კონკურენტებად არგენტინასა და ბრაზილიას მივიჩნევ, იტალიას, ესპანეთსა და ინგლისსაც ჩინებული გუნდები ჰყავთ.

**— თქვენი აზრით, ფრანგული ფეხბურთის სიძლიერე რაა?**

— ჩვენი მოთამაშეები ტექნიკურები არიან, თანაც ტაქტიკურად საუცხოოდ მომზადებულნი. მთავარი კი ის არის, რომ გუნდური სული გააჩნიათ. ამისთვის ბევრი ვიმუშავეთ. ახლა ფეხბურთელები ახლო მეგობრები არიან და ყოველთვის უხარიათ ერთმანეთთან შეხვედრა. მინდორზე ერთად გასვლა მათთვის ზეიმია.

**— მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მომგები ნაკრების ბირთვიც ხომ შეინარჩუნეთ...**

— დიახ. ყველა ოცნებობს ნაკრებში დიდ ხანს ითამაშოს. მით უმეტეს, ისეთ შეკრულ გუნდში, სადაც უკვე ყველაფერს მიჩვეულები არიან და ერთმანეთისა უსიტყვოდ ესმით. დიდი გუნდი უპირველესად დიდ ერთიანობას ნიშნავს. მაგალითად ხშირად მომყავს ხოლმე 1954 წლის გფრ-ის ნაკრები. ის გუნდი ერთიანობის ნიმუშად მიმაჩნია. როგორ გგონიათ, ადვილი იყო ერიკ კანტონას ევრო 96-ზე არწაყვანა? ლამის გული გამისკდა, როცა ერიკს ამის შესახებ ვუთხარი. მაგრამ იმის მაგიერ, რომ გუნდისადმი დამოკიდებულება შეეცვალა, უარესად ჩაიკეტა საკუთარ თავში. შედეგად გუნდმა თავისი გზა იპოვა, სამწუხაროდ, კანტონას გარეშე.

**— კაპიტანი დიდიე დეშანი და ლორან ბლანი ნაკრებს გამოემშვიდობნენ. ახლა ვინ არის გამორჩეული?**

— ასეთები ბევრნი არიან. ვთქვათ, მარსელ დესაი, რომელიც ნაკრების ახალი კაპიტანია. მას „ინტელიგენტ ყორჩს“ ვუწოდებდი. ზინედინ ზიდანი ფეხბურთის გენიოსია. პიროვნებაა მინდორზეც და მის გარეთაც, ზიდანს კრუიფის, მარადონასა და ბეკენბაუერის გვერდით დავაყენებდი, ხოლო თუ ფრანგებს გავიხსენებთ, კოპასა და პლატინის გვერდით. ჩინებულია ტურამი და ვიეირა, რომელმაც ბოლო დროს ძალიან მოუმატა.

**— რამდენიმე წელიწადში ზიდანი და სხვა ვარსკვლავები წავლენ. მერე რა იქნება?**

— თავის დროზე დეშანი და ბლანიც შეუცვლელები ჩანდნენ, მაგრამ მათ ადგილზე სხვები მოვიდნენ. ახალგაზრდები ჯერ კერპების მ[illegible]ლობენ, შერე კი მათზე [illegible] ხოლმე. ამიტომ ჩვენი ამოცანა არა მხოლოდ ოსტატების, არამედ პიროვნებების აღზრდაა. საფეხბურთო განათლებაში პედაგოგიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— ისეთ ახალგაზრდებს თუ დაადგით თვალი, ვინც საფრანგეთს 2006 წელსაც ძველებურად წარმოაჩენს?**

— გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ... თუმცა, რატომაც არა. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს. მაგალითად, 20 წლის მეშე და სისე, რომელთაც უკვე რამდენიმე წელიწადია ძლიერი ევროპული კლუბები ეპატიჟებიან, მაგრამ ჯერჯერობით „ოსერში“, გი რუსთან ურჩევნიათ ყოფნა. ჩინებული ბიჭები გვყავს 17-წლამდელთა ნაკრებშიც, რომლებიც ახლახან ტრინიდადში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

**— საუკეთესო ფრანგი ფეხბურთელების უმეტესობა უცხოეთში თამაშობს. კარგია ეს თუ ცუდი?**

— ძალიან კარგია. როცა ქვეყნის 30 საუკეთესო ფეხბურთელი უძლიერეს ევროპულ ლიგებში თამაშობს, ამას მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია.

**— თქვენს შემცვლელ როჟე ლემერთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— უბრალო. მეგობრები ვართ. ფეხბურთზეც მსგავსი წარმოდგენა გვაქვს, ამიტომ უთანხმოება არასოდეს მოგვდის. ნაკრებში კი ყველაფერს ის წყვეტს.

**— ალბათ, მეზობელი ქვეყნების საფეხბურთო ამბებსაც აკვირდებით. გერმანიის ახლანდელ ნაკრებზე რას ფიქრობთ?**

— ბოლო დროს გერმანელები მაკვირვებენ. წლების განმავლობაში ბუნდესნაკრები ჩვენთვის მისაბაძი იყო. მათი გამარჯვებისკენ სწრაფვა აღფრთოვანებას იწვევდა. ეს რაღაც ფენომენი გახლდათ. ახლა კი გამარჯვებულის სული სადღაც დაკარგეს. როცა მიუნხენში ინგლისელებთან მატჩს ვუცქერდი, თვალებს არ ვუჯერებდი. გერმანიის ნაკრებმა საკუთარ თავს ხარაკირი გაუკეთა.

**— რა არის აუცილებელი კარგი ფეხბურთელის ჩამოსაყალიბებლად?**

— ნიჭი და ხასიათი. შესაბამისი მენტალიტეტი. ასევე მნიშვნელოვანია, რა ვითარებაში და როგორ მწვრთნელთან ემზადება ფეხბურთელი. სწორი ფიზიკური მომზადება და ტაქტიკური განსწავლულობა სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

**— ნოემბერში სამოცისა გახდით. ბევრისთვის ეს უკვე საპენსიო ასაკია. ფეხბურთის გარდა სხვა საქმის გამოძებნა არ გიფიქრიათ?**

— მართალი გითხრათ, ამაზე არც მიფიქრია. ბლოკნოტში ჯერაც უამრავი გეგმა მიწერია და მუშაობას ვაგრძელებ. როცა პენსიაზე გავალ, მეუღლესთან ერთად ბევრს ვიმოგზაურებ. ლამის მთელი მსოფლიო მომივლია, მაგრამ აეროპორტების, სასტუმროებისა და სტადიონების გარდა ცოტა რამ თუ მინახავს. ამიტომ...



ემე ჟაკე და მისი მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი

# ბედი კაცისა, რომელიც არც მიწისაა, არც ცისა

**მარადჟამს** სენტიმენტალურ ტალღაზე მოდრეიფე ნიკოლა ანელკამ შესაძლოა, კვლავ პრემიერლიგაში ჩაავდოს ღუზა.

როგორც „ფრანს ფუტბოლი“ გვამცნობს, ანელკათი ლონდონური „ჩელსი“ დაინტერესებულა. „არისტოკრატთა“ მესვეურები ფრანგის აგენტს, მის ძმას დაუკავშირდნენ, თუ ბრიტანეთისკენ აიღებთ გეზს, ეგებ პირველ რიგში ჩვენ შეგვეხმიანოთო.

ჯერ კიდევ წინა საუკუნეში, 1997 წელს, ნიკოლა ანელკამ 17 წლისამ დატოვა პსჟ და „არსენალში“ გადავიდა. ფრანგული დონე აღარ მაკმაყოფილებს და ძალა უცხოეთში უნდა მოვსინჯოო. ორი წლის შემდეგ ფეხბურთელმა ლონდონიდან მადრიდში გადაინაცვლა და „სამეფო კლუბში“ ამოყო თავი, ინგლისიდან წასვლის მიზეზად კი ბრიტანული პრესის აუტანლობა დაასახელა.

არადა, არსენ ვენგერს გასაშვებად არ ემეტეოდა: „ანელკას ნებისმიერ გუნდში შეუძლია თამაში. იგი უდიდესი ტალანტის პატრონია“.

რა ხდებოდა ესპანეთის დედაქალაქში? ფრანგ ფეხბურთელს იქაც დიდი სირთულეები და სათადარიგოთა სკამი დახვდა. მართალია, 2000 წელს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მიუნხენის „ბაიერნს“ ორი გოლი გაუტანა, მაგრამ პრიმერადივიზიონში არ ათამაშებდნენ. ისე, მისი ბრალიც იყო — თანაგუნდელებმა ყოყლოჩინობა შეამჩნიეს და ცივად მიიღეს. ერთხელ მადრიდიდანაც გაიპარა და სამი კვირა მთელ ევროპაში დაეძებდნენ.

ანელკა ესპანური მასმედიის ყურადღებამაც გაანაწყენა: „ვითარება საშინელი იყო. ცხოვრება ნორმალურად ვერ ამეწყო. იქ ადამიანები შენს პირად ცხოვრებაში უტაქტოდ იჭრებიან. ჟურნალისტები მუდამ გაწუხებენ და ათასგვარ ჭორს იგონებენ“ — იხსენებს ფეხბურთელი.

ნიკოლა ანელკას სიმშვიდე და წყნარი ცხოვრება სჭირდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს, მადრიდს კი შფოთვა და დუღილი უყვარს, ამიტომაც ფრანგმა წრე შეკრა და შარშან ისევ პარიზში დაბრუნდა.

პსჟ-ში მეორედ მისვლისას მწვრთნელად ფილიპ ბერჟერო დაუხვდა, რომელიც მისდამი კეთილგანწყობილი იყო და სასტარტო შემადგენლობაშიც ხშირად ათამაშებდა. მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, პარიზშიც არ არეოდა ცხოვრება. ამჯერად „ამრევი“ ბერჟეროს შემცვლელი ლუის ფერნანდესი გახლდათ, რომელმაც გუნდში ახლები მოიყვანა, ხოლო ისინი, ვისთანაც ანელკა მეგობრობდა (დიდიე დომი, სტეფან დალმა, პიერ დიუკრო), სხვა კლუბებში გაუშვა.

ასე და ამგვარად, ნიკოლა ისევ ეულად დარჩა, რასაც ისიც დაემატა, რომ ფერნანდესმა იგი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო. მწვრთნელი უპირატესობას ბრაზილიელებს, ალექსს, რონალდინიოს და ალოიზიოს ანიჭებს.

ამ მიზეზებით იყო ალბათ გამოწვეული ის უთანხმოებაც, რომელიც მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის მოხდა. ფრანგული პრესა კონფლიქტის არსებობას ამტკიცებს, თუმცა მწვრთნელი ყველაფერს უარყოფს. ისე ფერნანდესი იმასაც ამბობს, კარი ღიაა და არავის ვიჭეროო.

ყველაფრის მიუხედავად, პსჟ-ს პრეზიდენტი ლორან პერპერი ანელკას დიდად აფასებს: „ნიკოლა განსხვავებული ტიპია. ბევრს არ ლაპარაკობს და ამოუცნობი ხასიათი აქვს. იგი კარგი ფორვარდია და ხალხს უკვირს, თუ რატომ აქვს ასეთი ცუდი შედეგები“.

შედეგები კი მართლაც ცუდი აქვს. რაც სეზონი დაიწყო, ორი კინკილა გოლი გაიტანა. თუმც როდის გაიტანდა, მეტწილად ხომ სკამზე ზის...

მისი მოსაწონი ქალაქი და გუნდი ევროპაში არ მოიძებნა. ყველა მას აწუხებს და ყველა მის ცხოვრებაში ძვრება. ამას ისიც დაემატა, რომ დიდად არც ნაკრების მწვრთნელი სწყალობს, აბა, მის გამო ტიერი ანრი და დავიდ ტრეზეგე შემადგენლობიდან როგორ ამოაგდოს.

ნიკოლა ანელკა გაუგებრობისა და გაურკვევლობის ძაფზე ცასა და დედამიწას შორისაა გამოკიდებული. მან ვერ მოძებნა საკუთარი სამყარო, სადაც სიმშვიდე და სიწყნარე სუფევს და ბურთსაც თავისუფლად გააგორებს. მისდა სავალალოდ, ჯერ მსოფლიოში არ არსებობს გუნდი, „სამოთხე“ რომ ერქვას.

თუ ასე გაგრძელდა, ანელკასგან მხოლოდ ის სამაჯური დარჩება, მარცხენა მაჯაზე რომ უკეთია.

**გაგა ხუციშვილი**



ნიკოლა ანელკა

# წყნარი პროტესტანტი რომელსაც მოედანზე ვერ იცნობთ

## შოტლანდიელმა მამაცმა გულმა ქართველი მამაცი გული იცნო

ეგი მსოფლიო რაგბის კაშკაშა ვარსკვლავია. ირლანდიელ კიტ ვუდთან, ავსტრალიელ ჯორჯ გრეგანთან და ახალზელანდიელ ჯონა ლომუსთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ ითვლება. შოტლანდიის ნაკრების გარე ნახევარმცველი, ზოგჯერ შუამარბიც, გუნდის სული და გულია, მის გარეშე სკოტთა გუნდი წარმოუდგენელია. გრეგორ თაუნსენდი რამდენჯერმე დაასახელეს ქვეყნის საუკეთესო მორაგბედ. ნაკრებში მასზე ბევრი ქულა მხოლოდ სკოტთაგან უკვე ლეგენდად შერაცხულ კენი ლოგანს მოუხვეჭია. თაუნსენდი ლევან ცაბაძის მხარდამხარ საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, „კასტრის" ღირსებას იცავს. 28 წლის მორაგბე იქაც უბადლოა. „კასტრის" მინდორზე მისთვის ჩვეული, სხვებისთვის კი სანატრელი სისწრაფით დარბის, ლელო ლელოზე და გოლი გოლზე გააქვს. „მამაცი გული", როგორც მას საფრანგეთში უწოდებენ, ლევან ცაბაძის მეგობარია. სწორედ ბორჯღალოსნის დახმარებით შევძელით გრეგორ თაუნსენდთან დაკავშირება.



გრეგორ თაუნსენდი

**შოტლანდია**
დაიბადა 1973 წლის 26 აპრილს ედინბურგში.
გარენახევარმცველი, შუამარბი.
სიმაღლე 182 სმ, წონა 87 კგ.
დებიუტი ეროვნულ ნაკრებში: 1993 წლის 6 მარტი. თვიქნემი.
ინგლისი — შოტლანდია 26 : 12
61 მატჩი ნაკრებში. 15 ლელო, 7 გარდასახვა, 14 საჯარიმო, 7 არეკნი, 152 ქულა



გრეგორ თაუნსენდის შეჩერება ძნელი და საქებარი საქმეა

**— ქართულ სპორტულ გაზეთ „სარბიელს" თქვენთან ინტერვიუ სურს.**

— ლევან ცაბაძემ მითხრა ამის თაობაზე. მზად ვარ, დავიწყოთ.

**— საქართველოში ბევრი გიცნობთ და გქომაგობთ...**

— ჩემთვის ეს ძალიან სასიამოვნოა, რადგან ქართველებს პატივს ვცემ, ეს, რა თქმა უნდა ლევანის დამსახურებაცაა.

**— რა იცით საქართველოს შესახებ?**

— მსმენია, ლამაზი ქვეყანააო, სამხრეთისთვის ტრადიციული კლიმატით, ყოფით და მენტალიტეტით. ხალხიც ძალიან გულთბილი და სტუმართმოყვარეა. ვიცი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მერე ომები და არეულობა იყო. ახლა კი საქართველო დამოუკიდებელი, მაგრამ ძალიან ღატაკი ქვეყანაა. ისიც ვიცი, რომ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. რაღაც არეულობები ახლაც ხდება მოკლედ, საქართველოზე ვიცი ის, რაც საშუალო ევროპელმა იცის.

**— საქართველოს ნაკრების თამაში თუ გინახავთ?**

— ძალიან კარგი გუნდია. თქვენი ნაკრების რამდენიმე მატჩი ვნახე. ევროპის ერთა თასზე ჩინებულად ითამაშეთ. გახდე ევროპაში მეშვიდე გუნდი, არც ისე ადვილია. სწრაფი გარემარბები და ძალიან ძლიერი შერკინება გყავთ. დაცვით რაგბის თამაშობთ. ჩემი აზრით, იტალიის დამარცხებაც შეგიძლიათ. სამისო პოტენციალი თქვენს ნაკრებში ნათლად დავინახე. ვაჟკაცური, ჟინიანი, ბოლომდე მებრძოლი გუნდია.

**— ლევან ცაბაძე თქვენი მეგობარი და თანაგუნდელია...**

— ლევანი ჩინებული პიროვნება და მაღალი დონის მორაგბეა. ჩემი მეგობარია. საშინელი ძალის პატრონია, ბულას შევადარებდი. ტექნიკაც უზადო აქვს, მის არსენალში ბევრი ისეთი ელემენტია, მხოლოდ პროფესიონალებს რომ სჩვევიათ. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ბურჯად მივიჩნევ.

**— სეზონის დაწყებამდე „კასტრში" კიდევ ერთი ქართველი, პალიკო ჯიმშელაძეც თამაშობდა, მაგრამ თქვენთან კონკურენციას ვერ გაუძლო და გუნდის გაძევლამ მოუწია. მასზე რას გვეტყვით?**

— მახსოვს პალიკო. მხიარული ბიჭია. მეგობრობაც იცის და რაგბის თამაშიც. ფიზიკურად კარგად იყო მომზადებული, ტექნიკაც არ დაეწუნებოდა, კარშიც რიგიანად ურტყამდა. დასანანია, კლუბს რომ ვერ შეეწყო. ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდა.

**— სხვა ქართველ მორაგბეებს თუ იცნობთ?**

— სამწუხაროდ, გვარებს ვერ ვიმახსოვრებ. ისე კი, აქ ვინც თამაშობს, რამდენიმეზე ბევრი კარგი მსმენია. იმედია, ლევანი მალე გამაცნობს თავის მეგობრებს, მაშინ იძულებული ვიქნები, მათი გვარები დავიმახსოვრო.

**— „კასტრში" ვისთან მეგობრობთ?**

— ყველასთან. გამორჩეული მეგობარი არ მყავს. ყველანი ნორმალური ბიჭები არიან, ურთიერთობა არც ერთთან არ მიჭირს.

**— ნაკრებში?**

— იქაც ამგვარი სიტუაციაა. ძმებივით ვართ. თუმცა ყველაზე ახლოს მაინც კრის პეტერსონთან, ჯონ ლესლისთან, მარტინ ლესლისთან და სკოტ მიურეისთან ვარ.

**— შოტლანდიის ნაკრების სუსტ თამაშს რით ახსნით?**

— რაღაც უიღბლობა დაგვჩემდა. ვერაფრით მოვახერხეთ ჩვენი თამაშის პოვნა. არგენტინასთან მთელი სამოცდაათი წუთი ვიგებდით, ბოლო ათ წუთში კი დავმარცხდით. დღემდე ვერ გამიგია, როგორ წავაგეთ ის ტესტ-მატჩი. ახალ ზელანდიასთანაც შეგვეძლო, უკეთ გვეთამაშა. განსაკუთრებით ინგლისთან თვიქნემში მარცხმა დამწყვიტა გული. წაგებაც არის და წაგებაც, თუ შოტლანდიის და ინგლისის დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, იმ მატჩის შედეგი ჩვენთვის ორმაგად სამწუხაროა. ახლა ძიებაში ვართ, იქნებ მსოფლიო თასისთვის გამოვასწოროთ თამაში.

**— და რას მიაღწევს შოტლანდიის ნაკრები მსოფლიო თასზე?**

— ჩემი აზრით, მეოთხედფინალში უპრობლემოდ გავალთ. იქ თუ კენჭისყრამ გაგვიმართლა, შეიძლება ნახევარფინალშიც ვითამაშოთ. ალბათ, ეს იქნება ჩვენი მაქსიმუმი. არა მგონია, ფინალში თამაში შევძლოთ.

**— რატომ თამაშობთ „კასტრში", როცა შეგიძლიათ, გაცილებით ცნობილ და ძლიერ კლუბში მოხვდეთ?**

— აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ. ხელფასიც მაკმაყოფილებს და კლუბში არსებული სიტუაციაც. „კასტრი" საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, ევროპაშიც უძლიერესებშია. მე ჩემი არჩევანი გავაკეთე და მგონი, არ შევმცდარვარ.

**— როგორ ფიქრობთ, რაშია თქვენი ძალა?**

— ფიზიკურ მომზადებაში, სწრაფ აზროვნებაში, პასებსაც მიქებენ, კარშიც კარგად ვურტყამ. ვფიქრობ, ეს არის ჩემი კოზირები.

**— ვისი თამაშის მანერა უფრო გხიბლავთ?**

— ახალზელანდიელების — ჯონა ლომუს, კრისტიან ქალენის და ირლანდიელი ბრაიან ოდრისკოლის. მათ განსაკუთრებული სტილი აქვთ. ამ ბიჭების თამაშის ყურება ძალიან მსიამოვნებს.

**— მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ ვინ მიგაჩნიათ?**

— ჯონა ლომუ შეუდარებელია.

**— საუკეთესო ნაკრები რომელია?**

— ჩემი აზრით, ახალზელანდიელები ავსტრალიასაც მოუგებენ და ინგლისსაც.

**— კათოლიკე ხართ თუ პროტესტანტი?**

— პროტესტანტი.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?**

— მიყვარს ფეხით სეირნობა. ქალაქს ვათვალიერებ, პარკში ვისვენებ. ხანდახან ბოულინგის და გოლფის თამაშით ვიქცევ თავს. განტვირთვისთვის გოლფი ჩინებული საშუალებაა.

**ბაჩო სვანიძე**



თაუნსენდს კარგ დამრტყმელადაც იცნობენ



# ინგლისი შფოთავს დღეს!

## სილვერსტოუნი ბეწვზე ჰკიდია

**1950 წელს** დიდ ბრიტანეთში, სილვერსტოუნის ტრასაზე ჩატარებული რბოლით ფორმულა 1-ის ისტორია დაიწყო: სრული საფუძველია იმისთვის, რომ „სილვერსტოუნი" მოიფინოს სხვადასხვანაირი ობელისკებითა და მემორიალური დაფებით, რადგან დღევანდელი „ფორმულა 1" პოპულარობით ბარე ორ სპორტის სახეობას სჭარბობს, მაყურებელთა დასწრების მაჩვენებელზე რომ არაფერი ვთქვათ.

ობელისკი კი არა... „სილვერსტოუნის" ეტაპი ახალი სეზონის კალენდარში შეიტანეს, მაგრამ მისი ბედი ბეწვზე კიდია. დღეს იწყება ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფია) კონგრესი, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ. ფია-ს პრეზიდენტმა, ფრანჩესკო ლონგანეზიმ განაცხადა, „სილვერსტოუნის" თემა კონგრესზე წამყვანი იქნებაო.

პრობლემად კი ტრაფიკი ანუ საგზაო ხერგილ-საცობები ქცეულა. ტრასასთან მისასვლელი გზების მდგომარეობა ვერაფრით ჯდება ფია-ს მოთხოვნებში, ამიტომ მათი რეკონსტრუქციის საჭიროება აშკარაა. ინგლისელთა განცხადებით, საქმე უკვე დაიძრა. მოვუსმინოთ სერ ჯეკი სტიუარტს, რომელიც ბრიტანეთის სამეფო ავტოკლუბის პრეზიდენტია, კლუბი კი, თავის მხრივ, „სილვერსტოუნის" მფლობელი გახლავთ. სტიუარტი რადიო „ბი-ბი-სის" ესაუბრება: „ფია აშკარად თვალს ხუჭავს იმაზე, რომ საჭირო სამუშაოები უკვე დაიწყო და საქმე მაქსიმალურად შესაძლო ტემპში მიდის. სადღეისოდ ჩვენ უკვე დავხარჯეთ 12,6 მილიონი გირვანქა გზების რეკონსტრუქციისთვის. დიდი ბრიტანეთი ავტორბოლების მსოფლიო ცენტრია და მისთვის უძველესი „გრან პრის" წართმევა სირცხვილია".

მაგრამ არც მასეა საქმე. რეკონსტრუქციის დასრულება იგეგმება 2004 წლის სეზონისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ორი წლის განმავლობაში დიდი პრობლემები იქნება. 2000 წლის რბოლისას „სილვერსტოუნზე" დიდი ანარქია სუფევდა. ავტოებით მიმავალი უამრავი მაყურებელი საცობში მოყვა და წვიმამ სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა. ბილეთების მრავალმა მფლობელმა სანახაობა გამოტოვა. წლეულს ნალექი არ ყოფილა, მაგრამ მდგომარეობა ბევრად უკეთესი როდი იყო.

ორგანიზატორები გამოსავალს ეძებენ. გაისად, მაგალითად, მაყურებლების 60 ათასით შემცირებას გეგმავენ, რისთვისაც „ყოველდღიური ბილეთების" სისტემა გააუქმეს. ანუ, თუ ადრე იყიდებოდა ბილეთები რბოლების ყოველი დღისთვის ცალ-ცალკე (ვარჯიშები, კვალიფიკაცია, რბოლა), ახლა მსურველმა ფული სამივე დღისთვის უნდა გაიღოს. ბრიტანელები სხვა ხერხებსაც მიმართავენ, კერძოდ, აწუხებენ მთავრობას. სტიუარტმა შესაბამისი მიმართვა უკვე გააკეთა. მრავალი ჯენტლმენი თავს მოვალედ თვლის, „სილვერსტოუნს" მხარი დაუჭიროს. აქტიურად მსჯელობენ იმაზე, რომ „სილვერსტოუნის" მოკვეთა მთელი ბრიტანული მოტოსპორტის ნოკდაუნი იქნება, რადგან: „იტალია „ფერარის" წყალობით სამჯერ კონსტრუქტორთა მსოფლიოს ჩემპიონი ხომ გახდა — ამბობს რობ ბენინი, ეტაპის ორგანიზატორთაგანი — ახლა იტალიურივე „დალარა" მთელ მსოფლიოში ფორმულა 3-ში დომინირებს და „აუდი" კიდევ სპორტული მანქანების ჩემპიონია. „სილვერსტოუნის" ჩაძირვა ბრიტანულ მოტოსპორტს ხუხულასავით დაანგრევს. არადა, ფორმულა 1-ის 12 გუნდიდან 7 ჩვენია".

თუ „სილვერსტოუნი" დაემხო, მის შემცვლელად საფრანგეთში, პოლ რიკარდის ტრასას მოიაზრებენ, რომელიც ბერნი ეკლსტოუნს ეკუთვნის.

**დავით გულუა**

## საქართველოს ჩემპიონატი რალიში



(ოლეგ ნაცვლიშვილის ფოტო)

ჩემპიონების „სუბარუც“ საქართველოს ჩემპიონია

# პრეზიდენტმა და დირექტორმა ყველას აჯობეს

# ვიქტორიანული ეპოქა ქართულ რალიში



(ოლეგ ნაცვლიშვილის ფოტო)

საქართველოს ჩემპიონები
ვიქტორ ბაგრამოვი და ვიქტორ თოდაძე

**რალიში** ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი ორი ეტაპის მოსაწყობად ორგანიზატორებმა ამჯერადაც მარნეულისა და გარდაბნის გზები გამოიყენეს, ოღონდ მცირეოდენი ცვლილებით — ტრასას დაემატა ცხრაკილომეტრიანი ჩქაროსნული მონაკვეთი, რომელიც მონაწილეებს სამჯერ უნდა დაეფარათ. საერთო დისტანცია 310 კილომეტრი იყო, აქედან მესამედი — ჩასათვლელი.

წინა ოთხივე რბოლის მოგებით ვიქტორ თოდაძემ და ვიქტორ ბაგრამოვმა ვადამდე კარგა ხნით ადრე გაინაღდეს ჩემპიონობა. ასე რომ, მეორე-მესამე პრიზიორების ვინაობაღა რჩებოდა გასარკვევი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ორი ვიქტორის „სუბარუმ“ ბოლო ეტაპებზეც არავის დაანება პირველობა — გამოცდილმა ეკიპაჟმა მთელი გზა პრაქტიკულად უშეცდომოდ გაიარა და თითქმის ყველა სპეცუბანზე საუკეთესო დროც აჩვენა.

ვიცე-ჩემპიონობის სხვებზე უკეთესი შანსი დავით და ზაზა იაშვილებს ჰქონდათ, თუმც კონკურენტებთან მათი უპირატესობა მინიმალური, მხოლოდ ერთი ქულა იყო. ძმებმა მეხუთე ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავეს, მაგრამ ტრასის მსაჯმა ერთ-ერთ ჩქაროსნულ მონაკვეთზე მათ მიერ წესის დარღვევა, კერძოდ, გზის მოჭრა დააფიქსირა. მარშალის პატაკის საფუძველზე შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა მამუკა მიქიაშვილმა, რომელიც ამავდროულად საქართველოს საავტომობილო ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეცაა, იაშვილების შედეგი გააუქმა. დაზარალებულებმა კოლეგიის სახელზე პროტესტი შეიტანეს. ხანგრძლივი დავა-განხილვის შემდეგ კოლეგიამ პირვანდელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, რის გამოც მეორე ადგილი ზაზა ზოზიაშვილსა და თამაზ სანებლიძეს ერგოთ, მესამეზე ალექსანდრე ჯანელიძე და ზურაბ ბაბუციძე გავიდნენ. ორივე ეკიპაჟი „ლადა-სამარათი“ ასპარეზობდა.

იაშვილების პრობლემები ამით არ ამოწურულა. ტექნიკურმა კომისიამ ძმები მეექვსე რბოლის სტარტზე არ დაუშვა, რადგან მათი „ოპელის“ ძრავის პარამეტრები ნორმებს აჭარბებდა.

დასკვნითი ეტაპი იმით იყო საინტერესო, რომ ასპარეზობაში სომხეთიდან ჩამოსული შვიდი ეკიპაჟიც ჩაება. ჩვენმა მეზობლებმა წლეულს გარდაცვლილი ცნობილი სომეხი პილოტის, ედიკ სრაპიონიანის ხსოვნის თასი ჩამოიტანეს და სტუმარ-მასპინძელმა ერთად იბრძოლა მის მოსაპოვებლად. როგორც უკვე ვთქვით, ყველას თოდაძემ და ბაგრამოვმა აჯობეს. 104 კილომეტრის გავლას მათ საათი და ხუთი წუთი მოანდომეს (საშუალო სიჩქარეა 95 კმ/სთ) და სამ წუთზე მეტი მოუგეს ზოზიაშვილსა და სანებლიძეს. მესამე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით მოასპარეზე ზურაბ ბეჟაშვილისა და სერგო მიროტაძის („ლადა-სამარა“) ეკიპაჟი.

ამრიგად, ქულათა მაქსიმუმით (72) ჩემპიონის წოდება საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტმა ვიქტორ თოდაძემ და მძღოლთა დახელოვნების სკოლის დირექტორმა ვიქტორ ბაგრამოვმა მოიპოვეს. მეორე და მესამე ადგილები ჯანელიძე-ბაბუციძისა (27) და ზოზიაშვილ-სანებლიძის (18) წყვილებმა დაიკავეს. შემდეგ მოდიან დავით იაშვილი (18), ირაკლი ჯაჯანაშვილი (17), დავით წიკლაური (16), ჯემალ გულარაშვილი (12), ზურაბ ბეჟაშვილი (12), ტარიელ გამყრელიძე (5), რამაზ მაისურაძე (5).

სეზონი დაასრულეს მოყვარულებმაც. მათი სამდღიანი დასკვნითი ტური სპორტულის გარდა საექსკურსიო-შემეცნებითი ღონისძიებაც იყო. მარშრუტი კახეთის ისტორიულ ადგილებში გადიოდა. არასაკმარო რეკლამის გამო სტარტზე მხოლოდ შვიდი წყვილი გავიდა, მათ შორის ეკა ბახტაძისა და მაგდა ცოცხალაშვილის ეკიპაჟი. გოგონებმა მშვენივრად ირბოლეს და მეოთხე ადგილზე გავიდნენ. გამარჯვება ზურაბ ბაბუციძესა და მის 16 წლის შტურმან ოვანეს კოლოსოვს დარჩათ, ხოლო ამჯერად „ვაზ-2107“-ით მოასპარეზე თოდაძე და ბაგრამოვი თავიდან ყველას კი სჯობდნენ, მაგრამ შეცდომის გამო 16 ქულით დაჯარიმდნენ და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდნენ. მესამე პრიზიორები მამა-შვილი ზაზა და სანდრო იაშვილები გახდნენ.

ამით საქართველოს საავტომობილო ფედერაციამ წლევანდელი რვათვიანი პროგრამა ამოწურა და ოთხივე დისციპლინაში ჩემპიონებსა და პრიზიორებს ამ დღეებში საზეიმოდ დააჯილდოვებს.

**ოლეგ ნაცვლიშვილი**



# პრიჯალოსანი

**დაუმარცხებელი** კანადელი მძიმეწონოსანი კირკ ჯონსონი, როგორც ჩანს, 2002 წელს სერიოზულად გამოჩნდება რინგზე. მამამისი და იმავდროულად მრჩეველი გერი და ნიუიორკელი მენეჯერები კინ ლილიენი და კრის სიგერი აცხადებენ, რომ საქმეში მალე დონ კინგი ჩაერევა.

ამასობაში კირკ ჯონსონისადმი ინტერესი HBO-მ და მისმა ყოფილმა პრომოუტერმა სედრიკ კუშნერმაც გამოამჟღავნეს.

„ამ სამიდან ერთ-ერთი ნამდვილად გამიფორმებს კონტრაქტს. ყოველ შემთხვევაში, სხვებზე მეტად ისინი აქტიურობდნენ, თუმცა, რამდენადაც გავიგე „მეინ ივენტსსაც“ მოვუკითხივარ. რაც შეეხება კუშნერს, ადრე ერთ-ორ საქმეში შემიწყო ხელი, ასე რომ, ცხადია, სხვებთან თანაბარი შანსი აქვს. ერთი სიტყვით, მე შეიძლება ყველას ვჭირდებოდე, თუმცა რომელს ამოვირჩევ, ცხადია ფულზეა დამოკიდებული. თუმცა, მხოლოდ ფულიც არ არის, კიდევ გააჩნია კონტრაქტში რა ეწერება“ — განაცხადა მოკრივემ.

კირკ ჯონსონი WBA-ს ვერსიით ნომერ პირველი კანდიდატია, რომელიც წესითა და რიგით რუის — ჰოლიფილდ III-ის გამარჯვებულს უნდა შეხვდეს.

🥊 🥊 🥊

**IBF-ის** ვერსიით მძიმეწონოსანთა ქამრის ნომერ პირველი პრეტენდენტი კრის ბერდი ჩივის. ამჯერად მან სარჩელი სასამართლოს წინა გადაწყვეტილების უგულებელყოფის წინააღმდეგ შეიტანა. წინა გადაწყვეტილება კი ის გახლავთ, რომ ბერდი 2002 წლის აპრილში ლენოქს ლუისს უნდა შეხვდეს. ერთი სიტყვით, არანაირი ლუის — ტაისონი.

„კლასიფიკაციით პირველ ადგილზე ვარ და, შესაბამისად, ყველა კანონით ლუისთან ბრძოლა მე მეკუთვნის“ — აცხადებს განაწყენებული მოკრივე.

მისი ვექილი, რიჩარდ ელინი კი ბრძანებს: „სასამართლომ ნათლად განაცხადა, რომ ლუისი ვალდებულია ჩემს კლიენტს შეხვდეს, და ჩვენ კი ვხედავთ, რომ IBF არათუ არ ემორჩილება ამ დადგენილებას, არამედ ჩვენთვის განკუთვნილ დროს ლუისისთვის სხვა მეტოქის, კერძოდ ტაისონის შერჩევას შეუდგა და საამისოდ მოლაპარაკებებსაც კი აწარმოებს. ამიტომაც კრისი ისევ ჩივის. ჩვენ IBF უნდა ვაიძულოთ, რომ კანონით გათვალისწინებული ბრძოლა მოაწყოს“.

რა შეიძლება აქ მოხდეს? მიმომხილველთა აზრით, არ არის გამორიცხული ლუისს IBF-ის ტიტული ჩამოართვან იგი ვაკანტურად გამოაცხადონ და მისთვის ზემოხსენებული ბერდი და რ[illegible] ოქუენდოსთან აჩხუბონ.

🥊 🥊 🥊

**შაბათს**, „ფოქსვუდს კაზინოში“ მძიმეწონოსანთა, ჯონ რუისის და ევანდერ ჰოლიფილდის ბრძოლაა WBA-ს ტიტულის მოსაპოვებლად. ჩემპიონი, მოგეხსენებათ რუისია, პრეტენდენტი — ჰოლიფილდი.

და კიდევ, ეს ორი მოკრივე ორჯერ უკვე შეხვედრიან ერთმანეთს, ასე რომ სერიალის დარად, მათ ხვალინდელ დაპირისპირებას რუის — ჰოლიფილდ III-ს უწოდებენ.

და სწორედ რუის — ჰოლიფილდ III-თან დაკავშირებით ჩატარდა საინტერნეტო გამოკითხვა, რომელშიც კრივის მოყვარულთა გვარიანმა რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა. გთავაზობთ ყველაზე გავრცელებულ პასუხებსა და მოსაზრებებს.

„ჩვენ არ ვიცით დღეს რუისი მართლა კარგ ფორმაშია თუ არა. თუ იგი ჰოლიფილდს დაამარცხებს, დაამტკიცებს რომ ათ უძლიერესს შორისაა, ვინაიდან კირკ ჯონსონის, ჯამელ მაკკლაინის, ფრეს ოქუენდოს და თუგინდ კლიჩკოების დამარცხებით ამის დამტკიცება შეუძლებელია“ — ასეთია ერთი ვარიანტი.

„ჯონ რუისი სინამდვილეში იმაზე ძლიერია, ვიდრე ხალხს ჰგონია. იგი ნიადაგ აუმჯობესებს ფორმას და თუ ევანდერ ჰოლიფილდს დაანოკაუტებს (ანუ გახდება მეორე ვინც ეს შეძლო), გასაკვირი სულაც არ იქნება“ — საპირისპირო ვერსიადობისაა მეორე.

„ამ ბრძოლის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ხალხს სულ არ ადარდებს ერთი მოიგებს თუ მეორე. და საერთოდ, რატომ ხვდებიან ეს კაცები კვლავ ერთმანეთს? ნუთუ ჰოლიფილდს არ ეყო, რაც აქამდე მიიღო? რუისს კი უთუოდ ნოკაუტით გამარჯვება სწყურია, რასაც ვერ ეღირსება. და რა უნდა პრომოუტერ დონ კინგს? იგი ჰოლიფილდის გამარჯვებაზე ოცნებობს, რადგან დიდძალი ფული ჰოლიფილდ — ტაისონის ან ჰოლიფილდ — ლუისის ბრძოლაში დევს, ხოლო რუის — ტაისონი ან რუის — ლუისი საერთოდ არაფერს ნიშნავს. ასე რომ, ალბათ, ჰოლიფილდი რუისს ქულებით დაამარცხებს“ — ამტკიცებენ მესამენი.

„ყველაფერი ნათელია, ჰოლიფილდი კრივიდან უნდა წავიდეს. ალბათ, რუისი დიდი ხმაურით დაამარცხებს, თუმცა ეს მისი დაოკებისთვის საკმარისი იქნება თუ არა, კაცმა არ იცის“ — არსებობს ასეთი მოსაზრებაც.

„ჰოლიფილდს ხუთგზის ჩემპიონად ვიხილავთ. იგი რუისს დაანოკაუტებს, რადგან რუისი დიდი მოკრივე არასდროს ყოფილა, ჰოლიფილდს კი კარის გაჯახუნება დარჩენილი აქვს“ — ესეც ერთ-ერთი მტკიცება.

**ტუტა სიხარულიძე**



ერთხელ ჰოლიფილდი (მარცხნივ) გაილახა, ერთხელაც რუისი. ჯერი მესამე მატჩზეა

# ჰკითხეთ რაღაცას მკითხ: ჩვენ ვეძებთ სტეფანიას. რას ეძებს რაილი?

12 დეკემბერი

**ვაშინგტონი 82:80 მაიამი**

**ვაშინგტონი:** ვიტნი (1), ჰამილტონი (23), ჯორდანი (25), ლეიტნერი (13), ვაიტი (6); ჯონსი (6), ლუ (5), ჰეივუდი (3), ბრაუნი, დევისი

**მაიამი:** სტრიკლენდი (6), ჯეკსონი (18), ჯონსი (10), გრანტი (8), მურნინგი (11); ელისი (15), ჰაუსი (8), კარტერი (2), ბე-ტლინგი (2)

ატლანტიკის დივიზიონის ორი მაჩანჩალა — „ვაშინგტონი" და „მაიამი" წლეულს მეორედ შეიყარნენ და კვლავ ვერ ივარგა ამ უკანასკნელმა. შეხვედრამ კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონმა" საკუთარი თავი და თამაში იპოვა (ზედიზედ მეოთხედ იმარჯვა), ხოლო ნბა-ში მოფუსფუსე პირველი ქართველის, ვლადიმერ სტეფანიას „მაიამი" კვლავაც ძიებაშია.

კონკრეტულად რას ეძებს „მაიამი", ეს ჩვენზე უკეთ ფლორიდელთა დამრიგებელმა პატ რაილიმ უწყის, ხოლო იპოვა თუ არა ის, რასაც ეძებს, ეს შედეგიდან ჩანს. „ჰითმა" საწყისი 20 თამაშიდან 16 წააგო. ბოლო თერთმეტი წელია, მაიამელთ სეზონი ასე უხეიროდ არ დაუწყიათ.

„ვაშინგტონთან" დაძაბულ შეხვედრაში რაილის მოწაფეები შეტევებისას კვლავ დაალალატა ფანტაზიამ. „ჰითს" ბოლო წუთებზე ბურთის ჩაგდება უჭირდა, რამდენიმე შეტევა გააფუჭა, რაც მეტოქემ არ აპატია.

„მაიამიმ" ცუდად დაიწყო. ჯორდანი და მისი თანამეინახენი თავიდანვე აქტიურად მიეძალნენ მეტოქეს და პირველ წუთებში 16:7 დაწინაურდნენ. სტუმრები დიდხანს ცდილობდნენ, გაქცეულ მეტოქეს წამოსწეოდნენ და მატჩის დასკვნით ეტაპზე ეს თითქოს მოახერხეს კიდეც, მაგრამ... საფინალო სირენამდე 3.10 წუთით ადრე მურნინგს ჩატენვა გაუცუდდა. ამ დროს მისი გუნდი 78:80 აგებდა, დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე, როდესაც ანგარიში 78:82 იყო, მან ორი საჯარიმოც გააფუჭა. მართალია, ჯონსმა ბოლო წუთის პირველ წამებზე ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ ეს არ ეყო გამარჯვებას. ჯორდანმა და სხვა მასპინძლებმა ბოლო წუთზე ვერაფერი წაუმატეს 82-ქულიან მონაგარს, მაგრამ არც სტუმრებს ჩააგდებინეს. მაიამელმა ლაფონსო ელისმა ბოლო წამებზე აცილებულ სამქულიანს გააყოლა მისიანების იმედები.

**ფინიქსი 114:88 საკრამენტო**

**ფინიქსი:** მარიონი (21 ქულა, 13 მოხსნა), დელკი (21), ჰარდევეი (19), ვოლესი (19)

**საკრამენტო:** ვებერი (21 ქულა, 12 მოხსნა), ბიბი (15)

**სან ანტონიო 108:95 ტორონტო**

**სან ანტონიო:** დანკანი (28 ქულა, 13 მოხსნა), სმიტი (17)

**ტორონტო:** ვილიამსი (16)



REUTERS ფოტოქრონიკა

ჯორდანს და ჯორდანელებს „მაიამი" ერთხელაც შემოელახათ

**კლიპერსი 114:94 სიეტლი**

**კლიპერსი:** რიჩარდსონი (23), მაკინისი (19), ბრენდი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**სიეტლი:** ბერი (18), ბეიკერი (15)

**იუტა 87:98 მინესოტა**

**იუტა:** მელოუნი (20), სტივენსონი (16)

**მინესოტა:** გარნეტი (24), სმიტი (15)

# ცხენმა ზედმეტი ილაპარაკა

## არასოდეს თქვა „შე მექსიკელო"!

## „კავკასიური ეროვნების პირის" ამერიკული ვარიანტი

**„დენვერ ნაგიტსმა"** ოთხი თამაშის ხელფასი, 112 ათასი დაუქვითა „ცხენად" წოდებულ გუნდის მთავარ მწვრთნელ დან აისელს ტრიბუნაზე გულშემატკივრის გამოპასუხებისთვის და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის. ამ ამბავმა ოკეანგაღმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რამეთუ აისელმა მაყურებლის გინებაში რასისტული სიტყვა გამოურია, ეს კი ისეთი ფაქიზი სიმია, მისმა შემხებმა იქნებ თავიც წააგოს, ვინც არ უნდა იყოს.

ყველაფერი კი ასე მოხდა — 11 დეკემბერს „დენვერმა" შინ 96:99 წააგო „შარლოტთან". „ნაგიტსის" ზედიზედ მეხუთე მარცხმა დარბაზში ვნებათაღელვა გამოიწვია. ტრიბუნიდან ერთ-ერთ მაგინარს აისელი გამოეპასუხა: „წაეთრიე და მეორე ბოთლი ლუდი ჩახეთქე, შე მექსიკელო..." აისელს კიდევ ბევრის თქმა სურდა, მაგრამ შეგირდმა ნიკ ვან ექსელმა და ასისტენტებმა გასახდელში წაათრიეს. აისელს ერჩივნა, ზემოთნახსენებ გინებაში გამოტოვებული სიტყვა (ზუსტად რა სიტყვა, ვერ მოგახსენებთ) და მისთანები ბლომად ეთქვა, ოღონდ „მექსიკელი" არ ეხსენებინა, რადგან მთელი რისხვა ამის გამო დაატყდა.

„ბოდიშს ვუხდი გულშემატკივრებს, კლუბს და დენვერელებს. სასჯელს ვიმსახურებ და არ გავურბივარ მას, ჩემი არაქრისტიანული ფრაზებისთვის" — თქვა აისელმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე. ბოდიშის მოხდის შემდეგ იგი ადგა და გავიდა, დროულადაც, რადგან მის მაგივრად კითხვებზე პასუხის გასაცემად დარჩენილ კლუბის გენერალურ მენეჯერ კიკი ვანდევეიჯს ცული დღე დაადგა.

პრესკონფერენციაზე შეკრებილი ლათინური წარმოშობის ჟურნალისტ-მოღვაწეებისგან (მათი რიცხვი რამდენიმე ათეული იყო) განსაკუთრებით ვინმე ვერონიკა ბარელა აქტიურობდა, „დან აისელი სახალხო ფიგურა და მაგალითის მიმცემი კაცია ჩვენს საზოგადოებაში და ეს მდგომარეობა მას უნდა აიძულებდეს, საკუთარ თავს გაცილებით მაღალი სტანდარტები წაუყენოს, რაც მისგან არ იგრძნობა. საპასუხისმგებლო თანამდებობის პირები, რომლებიც თავს მსგავსი საძაგლობის თქმის უფლებას აძლევენ, ამ თანამდებობაზე არ უნდა მუშაობდნენ. ისინი საფრთხეს უქმნიან ჩვენს საზოგადოებას" — თქვა ამ ქალბატონმა.

კიკი ვანდევეიჯს არც უცდია აისელის დაცვა მიუხედავად იმისა, რომ „ცხენს" (ძალიან გვეუხერხულება „დენვერის" თავკაცის ასე მოხსენიება) კარგ კაცად იცნობენ და მსგავსი გამოხდომა მისგან არავის ახსოვს. „ჩვენი ორგანიზაციის სახელით ბოდიშს ვუხდი ჩვენს გულშემატკივრებს უცენზურო ფრაზისთვის, მესმის საზოგადოების იმ ფენის წყრომა, რომელმაც ეს სიტყვები საკუთარ თავზე მიიღო" — თქვა ვანდევეიჯმა.

დან აისელის ნაცნობ-მეგობრებმა განაცხადეს, რომ მისგან მსგავსს ნამდვილად არ ელოდნენ. როგორც ჩანს, „დენვერის" მწვრთნელი ძალიან გაგულისებული იყო. შეგირდ ნიკ ვან ექსელზე ხომ არა? „ნაგიტსის" ლიდერმა ამას წინათ საჯაროდ გააკრიტიკა გუნდის ხელმძღვანელობა, აქაოდა, გუნდში ხეირიანი არავინ მოჰყავთ და ჩვენგან გამარჯვებებს ითხოვენო. ვან ექსელმა შემდეგ სხვა გუნდში გაცვლაც მოითხოვა, ამ ჯაგლაგ გუნდში გაჩერება აღარ მსურსო. ვან ექსელის ზოგისთვის იქნებ ეგოისტურ გამოსვლებს და ბოლოს და ბოლოს, ზედიზედ მეხუთე თამაშის წაგებას სავსებით შესაძლებელია, მოთმინებიდან გამოეყვანა აისელი. მანაც ვიღაც მაგინებელს უპასუხა და...

**ივანე კობიაშვილი**



შერცხვენილი და დარცხვენილი: კიკი ვანდევეიჯი და დან აისელი

## კორაჩის თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 11-12 დეკემბერი

# უგრეხელიძეს 214-სანტიმეტრიანი ბუკვა შემოეგრიხა

### H ჯგუფი

ავტოდორი (რუსეთი) — სენტ პიოლტენი (ავსტრია) 118:82

**სლოვანი 76:70 კაპოშვარი**

**სლოვანი:** კოვაჩი (14), ოზბოლტი (10), შლოკარი (4), ტულუში (3 წუთი, 0 ქულა), უდრიჰი (8), უგრეხელიძე (39 წუთი, 25 ქულა, 13 მოხსნა, 3 დაფარება, 1 პასი), ზაჩეტი (2), ზაგორაცი (13), ტუკულა, ჟუპანი

**კაპოშვარი:** ალისონი (7), ბეკი (2), ბენჩე (5), ბუქვა (16), დომუნკოში, ივკოვიჩი (21), შიმონი (10), შიკე (9)

ლიუბლიანაში H ჯგუფის მესამე ტურში ჯერაც დაუმარცხებელი გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჩვენებურთა „სლოვანის" დარად, უნგრულმა „კაპოშვარმაც" ჯგუფური ტურნირის საწყისი ორი მატჩი მოიგო და სლოვენიის დედაქალაქსაც, ცხადია, მოსაგებად ეწვია. ამ მატჩის ინტრიგა ის გახლდათ, რომ გამარჯვებული გუნდი ცალი ფეხით შემდეგ ეტაპზე იყო. ეს გუნდებმაც კარგად უწყოდნენ და, ბუნებრივია, ბრძოლაც სათანადო გაჩაღდა.

უნგრელებს მათი ლიდერის, ბრანისლავ ჯუნიჩის არყოფნაში ცენტრების, წოწოლა სეიო ბუკვასა და სტოიან ივკოვიჩის ეიმედებოდათ. ლიუბლიანელებიც ხიფათს სწორედ ფარქვეშიდან ელოდნენ. მასპინძელთა მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი არ შემცდარა, ყველაფერი გაიჩვრიტა და სტუმართა 214-სანტიმეტრიან ბუკვას ქართველი ცენტრი მიუჩინა. საწყის წუთებში დავით უგრეხელიძემ უნგრელთა 35 წლისაა ვეტერანი არ გააჩარა, სამ წუთში ორჯერ დაუფარა. „სლოვანიც" მთელი შემართებით ამოქმედდა. კოვაჩი სწრაფი გარღვევებით ანგარიშს ზრდიდა, დავით უგრეხელიძეც ფარქვეშეთიდან ბომბავდა უნგრელთა კალათს და მეხუთე წუთისთვის „სლოვანი" სოლიდურად დაწინაურდა — 20:4.

სტუმრებმა ფარი რომ წააგეს, აქცენტი შორიდან სროლებზე გადაიტანეს და მეოთხედის ბოლომდე ამგვარად ხეირობდნენ — 26:13. მცირე შესვენების შემდეგ სტუმრები გონს მოეგნენ. სტოიან ივკოვიჩი ფარს გაუშინაურდა. უნგრელებმა თამაში გამოასწორეს და ლიუბლიანელებს მეტად დაწინაურების საშუალება მოუსპეს. სტუმართა ამერიკელი ენტონი ალისონი ბევრს ცდილობდა, „კაპოშვარის" საქმე სამქულიანებით გამოესწორებინა, მაგრამ 6 სროლიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო. თამაშის ბოლომდე ცდილობდნენ სტუმრები ლიუბლიანელთა მოდრეკას, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში ფარქვეშ მარჯვედ იდგა სლოვენიელთა ქართველი ცენტრი, რომლის კარგმა თამაშმაც განაპირობა ბალკანელთა გამარჯვება. უგრეხელიძემ მატჩში ყველაზე მეტი, 25 ქულა ჩააგდო. მას მოცილე არც მოხსნებში (13) ჰყავდა და არც დაფარებაში (3). კოტე ტულუშმა კი 3 წუთი ითამაშა. შეცვლაზე შესულ ქართველ უკანახაზელს ფეხი წამოსტკივდა და ტომო მაჰორიჩმაც არ გარისკა, მოედანზე აღარ დააბრუნა.

ამ გამარჯვებით „სლოვანი" ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია შეიქნა. მომავალ ოთხშაბათს შინ სარატოვის „ავტოდორს" ეთამაშება და მოგების შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გავა.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვანი | 3 | 3 | 0 | 250:216 | 6 |
| კაპოშვარი | 3 | 2 | 1 | 268:235 | 5 |
| ავტოდორი | 3 | 1 | 2 | 274:265 | 4 |
| სენტ პიოლტენი | 3 | 0 | 3 | 231:307 | 3 |

### A ჯგუფი

ბაიერი (გერმანია) — მონსი (ბელგია) 76:77, შალონი (საფრანგეთი) — ფუენლაბრადა (ესპანეთი) 85:75

ფუენლაბრადა 5 ქულა, მონსი 5, შალონი 4, ბაიერი 4

### B ჯგუფი

მიულერი (იტალია) — პორტუ (პორტუგალია) 114:98, ანტვერპენი (ბელგია) — ნანსი (საფრანგეთი) 78:80

ნანსი 6 ქულა, მიულერი 4, პორტუ 4, ანტვერპენი 3

### C ჯგუფი

მარუსი (საბერძნეთი) — დიჟონი (საფრანგეთი) 86:79, ფორუმი (ესპანეთი) — ოვარენშე (პორტუგალია) 76:75

მარუსი 6 ქულა, ფორუმი 4, ოვერენშე 4, დიჟონი 4

### D ჯგუფი

რაანანა (ისრაელი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 86:68, რასინგი (საფრანგეთი) — ჰემოფარმი (იუგოსლავია) 69:67

რასინგი 5 ქულა, რაანანა 5, ბეშიქთაში 4, ჰემოფარმი 4

### E ჯგუფი

აელ ლიმასოლი (კვიპროსი) — პაოკ (საბერძნეთი) 90:92, ლოკომოტივი (რუსეთი) — მაკაბი (ირონი, ისრაელი) 86:66

ლოკომოტივი 6 ქულა, მაკაბი 5, პაოკ 4, აელ ლიმასოლი 3

### F ჯგუფი

ხიმკი (რუსეთი) — ოპავა (ჩეხეთი) 95:80, ბუიუქ კოლეჯი (თურქეთი) — ატომერომუ (უნგრეთი) 83:87

ოპავა 5 ქულა, ხიმკი 5, ატომერომუ 5, ბუიუქ კოლეჯი 3

### G ჯგუფი

პროკომი (პოლონეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 99:79, მლეკარნა (ჩეხეთი) — ევრაზი (რუსეთი) 105:84

პროკომი 6 ქულა, პივოვარნა 5, მლეკარნა 4, ევრაზი 3

## საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. V ტური. 11-12 დეკემბერი

### A ჯგუფი

ლუგანო (შვეიცარია) — სტრასბური (საფრანგეთი) 79:78, ტელეკომი (თურქეთი) — პამესა (ესპანეთი) 75:79, სნაიდერო (იტალია) — ტელეკომი (პორტუგალია) 91:80

პამესა 9 ქულა, სნაიდერო 8, სტრასბური 8, ტელეკომი (თურქეთი) 8, ტელეკომი (პორტუგალია) 6, ლუგანო 6

### B ჯგუფი

პანიონიოსი (საბერძნეთი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 100:96, ლე მანი (საფრანგეთი) — სიენა (იტალია) 46:94, ჰაპოელი (ისრაელი) — დარუშაფაკა (თურქეთი) 94:77

სიენა 9 ქულა, ესტუდიანტესი 8, ჰაპოელი 8, პანიონიოსი 8, ლე მანი 7, დარუშაფაკა 5

### C ჯგუფი

არკადია (ავსტრია) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 75:111, რიკო (ჰოლანდია) — უნიქსი (რუსეთი) 70:78, ტელეკომი (გერმანია) — ანვილი (პოლონეთი) 89:73

ტელეკომი 9 ქულა, ლიეტუვოს რიტასი 9, ანვილი 8, უნიქსი 8, რიკო 6, არკადია 5

### D ჯგუფი

ცელეზნიკი (იუგოსლავია) — სპლიტი (ხორვატია) 96:83, ირაკლისი (საბერძნეთი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 62:66, კერაუნოსი (კვიპროსი) — იგოკეა (ბოსნია) 83:86

სლოვაკოფარმა 9 ქულა, ცელეზნიკი 9, ირაკლისი 8, იგოკეა 7, სპლიტი 7, კერაუნოსი 5

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

პიტსბურგელ დარიუს კასპარაიტისს ოლონდ მეტოქე წააქცევინე და— ამჯერად ბოსტონელ ჯემი რივერსს დაეტაკა

# ბედნიერი უნამუსობა

## ჟუჟუნა წვიმა ყინულზე: ვინც მსაჯზე ცუდი რამე თქვას

12 დეკემბერი

**კალგარი 1:3 ტამპა (0:1 1:1 0:1)**
0:1 რიჩარდსი (15), 0:2 ანდრეიჩუკი (27), 1:2 მაკამონდი (29), 1:3 ტეილორი (45)

**ნიუ ჯერსი 3:2 აილენდერსი (0:1 2:1 0:0 1:0)**
0:1 კ. იუნსონი (18), 1:1 სიკორა (22), 2:1 არნოტი (34), 2:2 პეკა (37), 3:2 ნიდერმაიერი (62)

**ჩიკაგო 2:2 სენტ ლუისი (1:1 1:0 0:1 0:0)**
1:0 დაზე (2), 1:1 მაიერსი (14), 2:1 სალივანი (27), 2:2 ტკაჩუკი (44)

**პიტსბურგი 2:4 ბოსტონი (1:1 0:2 1:1)**
0:1 მიურეი (6), 1:1 კოვალიოვი (12), 1:2 გერინი (31), 1:3 ოდონელი (37), 2:3 კოვალიოვი (42), 2:4 გერინი (60)

**დალასი 4:3 ბუფალო (1:2 2:1 1:0)**
1:0 მოდანო (4), 1:1 ბარნსი (5), 1:2 კალინინი (8), 2:2 ლეჰტინენი (21), 2:3 კონოლი (27), 3:3 ლანგენბრუნერი (35), 4:3 ლეჰტინენი (58)

**ატლანტა 3:3 მონრეალი (0:1 0:2 3:0 0:0)**
0:1 ეშამი (19), 0:2 გილმორი (26), 0:3 სურეი (40), 1:3 ჰიტლი (42), 2:3 ფერარო (58), 3:3 კოვალჩუკი (60)

**რეინჯერსი 2:4 ნეშვილი (1:1 1:2 0:1)**
0:1 დელმორი (17), 1:1 ლინდროსი (18), 1:2 იტონი (23), 1:3 დელმორი (27), 2:3 ლინდროსი (28), 2:4 ფიცჯერალდი (60)

**კაროლინა 4:1 ფლორიდა (1:0 3:0 0:1)**
1:0 ბატალია (2), 2:0 ბატალია (22), 3:0 ფელინა (27), 4:0 კოული (39), 4:1 უიმერი (45)

**კოლორადო 5:1 კოლუმბუსი (1:1 1:0 3:0)**
0:1 სილინჯერი (4), 1:1 ბლეიკი (19), 2:1 პოდინი (30), 3:1 იელი (48), 4:1 შეიდუკი (50), 5:1 დევრიზი (52)

**ანაჰაიმი 0:1 ვანკუვერი (0:0 0:0 0:0 0:1)**
0:1 ჟოვანოვსკი (65)

„მსაჯობაზე საჯაროდ აზრის გამოთქმა არ შეგვიძლია, რადგან ამას მორიგ უტიფრობად ჩაგვითვლიან" — თქვა აილენდერსის კაპიტანმა მაიკ პეკამ ნიუჯერსისთან მატჩის შემდეგ.

„ყველაფერი გასაგებია. ლიგაში ორმაგი სტანდარტებია და მსაჯები იმ გუნდებს სცემენ პატივს, რომელთაც წლების განმავლობაში უკეთესი შედეგები ჰქონდათ. ჯობს, ლიგამ ამ საქმეს მიხედოს და ჩემს წითელ ფეხსაფარზე ლაპარაკით თავი არ მომაბეზროს" — პეკაზე მეტად გაცხარებული მისი პარტნიორი, მეკარე კრის ოსგუდი ჩანდა. გუნდის თავკაც პიტერ ლავაოლეტის ტირადა კი ერთმა საგენტომაც არცკი გადასცა. ან კი როგორ მოხერხდებოდა ამ ლანძღვა-გინების ციტირება.

და მაინც, რა მოხდა ამ თამაშში ისეთი, რამაც ნიუიორკელთა ამგვარი გულისწყრომა გამოიწვია?

ზემოხსენებულ მოთამაშეებს ჩვენი დაცვა არ სჭირდებათ, მაგრამ ის, რაც მატჩის მიწურულს მოიმოქმედეს მსაჯებმა, ნამდვილად ტენდენციური გვგონია, თანაც ეს მთელი თამაშის განმავლობაში იგრძნობოდა ბლეინ ანგუსისა და დან მარუელის ქმედებებში. მთლიანობაში თანაბარ და მშვიდ შეხვედრაში მათ სტუმრები ექვსჯერ დასაჯეს, მასპინძლები — ერთხელ, ბოლო წუთებზე კი სულ აიღეს ნამუსზე ხელი. ნიუ ჯერსის შეტევის დროს სტუმართა მცველმა ადრიან ოკუანმა სკოტ გომესი წააქცია, მაგრამ განსაკუთრებულ უწესობა არ ჩაუდენია. ასეთ რამეებზე მსაჯები სულაც თვალს ხუჭავენ ხოლმე. ჰოდა, ნიუ ჯერსის ოვერტაიმში რიცხვმრავლობა შექმნა და სკოტ ნიდერმაიერის უძლიერეს დარტყმას კრის ოსგუდმა ვერაფერი მოუხერხა. მაგრამ დარტყმის მომენტში ნიუჯერსელი ბობი ჰოლიკი ოკუანზე გაცილებით მეტად უხეშა მაიკ პეკას, რის გამოც ამ უკანასკნელმა ნადერმაიერს ხელი ვერ შეუშალა. რას აკეთებდნენ ამ დროს მსაჯები, გაუგებარია. ამ სეზონიდან ხომ ნჰლ-ის ყველა თამაშს ორი მთავარი არბიტრი ემსახურება, არანაირი წესის დარღვევა რომ არ გამოეპაროთ.

„თუ ეს მხოლოდ მსაჯების სუბიექტურობაა, მათ აუცილებლად პასუხი უნდა აგონ" — თავს ველარ იკავებდა ოსგუდი, თუმც ასეთები პირველად არ ხდება, ლიგა კი ყოველთვის მხარს მსაჯებს უჭერს. აი, ოსგუდი და განსაკუთრებით ლავიოლეტი კი აუცილებლად დაისჯებიან.

აილენდერსელთა წყენა მით უფრო გასაგებია, რომ ისინი მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. მეტიც, მაიკ პეკას გოლის შემდეგ რამდენიმე წამში უმცირესობაში ჩინებული შანსი ალექსეი იაშინსაც მიეცა, მაგრამ რუსმა, რომლის თამაშსაც მისი სატრფო, მშვენიერი კეროლ ალტი უცქერდა, ახლო მანძილიდან ვერ გაიტანა.

**სამველ ლარიბიანი**

# მთავარია სტაბილიზაცია!

## აი, რაში იხდიან მილიონებს



ნიკლას ლიდსტრომი

**ზოგს** ელ მაკინისის ყუმბარისებური დარტყმები მოსწონს, ზოგს — კრის პრონგერის შთამბეჭდავად ძალისმიერი ილეთები, ზოგიც იმას გაიძახის, რომ ბლეიკზე უკეთ შეტევაში ჩართვა არავის ეხერხებაო. მაგრამ დღეს რომ ლიგაში გამოკითხვა მოეწყოს, ვინ არის ყველაზე სტაბილური მცველი ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაშიო, უმრავლესობა ალბათ დეტროიტელ ნიკლას ლიდსტრომს დაასახელებს.

სტაბილურობა — სწორედ ეს არის ის მთავარი თვისება, რომელიც ამ ფენომენალურ მცველს ახასიათებს. შვედის თამაში არცთუ ეფექტურია და იქნებ ყინულზე ვერც გამოარჩიოთ, მაგარმ უაღრესად საიმედო და ნაყოფიერია. ამიტომაცაა, დეტროიტში ასე რომ აფასებენ. ისე, თავის დროზე ლიდსტრომს შვედეთში დაბრუნება რომ არ მოესურვებინა, შესაძლოა დღეს ამგვარი დაფასება არც რგებოდა. ოლონდ აზრი შეეცვალა და „წითელფრთიანებმა" ახალი კონტრაქტი შესთავაზეს, ახლახან კი ოფიციალურად დადასტურდა ის, რომ სადღეისოდ ლიდსტრომი ლიგაში ყველაზე ძვირადღირებული მცველია. შვედს ხელშეკრულება კიდევ ორი წლით გაუხანგრძლივეს და ამ ხნის განმავლობაში 20 მილიონს მოიხვეჭს. ესე იგი, მისი წლიური გასამრჯელო 10 მილიონი იქნება, რაც აქამდე ყველაზე ძვირადღირებული უკანახაზელის, კრის პრონგერის ხელფასს 500 ათასით აღემატება.

თუ ლიდსტრომი ამ ორ სეზონში სტენლის თასს მოიგებს ან ლიგის საუკეთესო მცველი გახდება, კიდევ მილიონს ბონუსის სახით მიიღებს.



# ნუ გაიკვირვებთ: სკანდინავიურ კორიდას

## მაშინ ესპანელ მოთხილამურეს რა ვუყოთ?!

**სამთოთხილამურობის** პარალელურად, მსოფლიოს თასის გათამაშებები „კროს კანტრიში", ანუ უბრალო თხილამურობაშიც დაიწყო. ამ დღეებში ყველაზე გამძლე მოთხილამურეთა დიდი ჯგუფი იტალიურ ბრუსონში შეიკრიბა: ქალებმა 10 და ვაჟებმა 15 კილომეტრზე ფრისტაილი ისრიალეს. ქალთა შორის საკმაოდ მოულოდნელად საერთო ჩათვლას ვეტერანი ჩეხი, კატერინა ნეუმანოვა ლიდერობს და თუმცა ბრუსონის ეტაპი სხვამ მოიგო, ნეუმანოვა ჯერაც თავშია, ოღონდ უკვე სულ მცირე უპირატესობით.





იოჰან მულეგი

პირველივე კილომეტრებზე ფავორიტებად გამოიკვეთნენ რუსი იულია ჩეპალოვა და იტალიელი სტეფანია ბელმონდო — სათხილამურო სამყაროში კარგად ცნობილი მანდილოსნები. ურიგოდ არც სხვა განთქმულებს უსრიალიათ. ესტონელმა კრისტინა სმიგუნმა, რუსმა ლარისა ლაზუტინამ, ნორვეგიელმა ჰილდე გერგ-პედერსენმა ფრიად საპატიო შედეგები უჩვენეს და ჩასათვლელი ქულები ბლომად შეიმატეს. გამარჯვება კი ჩეპალოვამ, რომელმაც ბელმონდოს თითქმის წამით გაუსწრო.

„ის ჩემს შემდეგ დაიძრა და ჩემი დრო სულ იცოდა — საფუძვლიანად ახსნა ბელმონდომ თავისი მარცხის მიზეზი — ამდენად, ბოლო კილომეტრებზე შეეძლო, თავი დაედო და მთელი ძალით გაერეკა და გაერეკა. მე ამგვარი მოტივაცია არ მქონია".

ლაზუტინამ საერთო ჩათვლაში მეოთხიდან მეორე ადგილამდე აინაცვლა. ნეუმანოვა ლიდერობს, როგორც აღვნიშნეთ. მესამეა რუსი ოლგა დანილოვა (ბრუსონში მე-10 ადგილზე გავიდა) და ამას მისდევს კოხტა ნორვეგიელი ბენტე სკარი. ნორვეგიელივე პედერსენი ხუთეულს კეტავს და საერთოდ, სკანდინაველებზე საუბარს ვაჟთა რბოლის გარჩევისას ვაგრძელებთ.

როგორც ავსტრია მთის თხილამურობაში, სკანდინავია „კროს კანტრის" ლიდერად ითვლება და ეს კარგად ჩანს ვაჟთა მიმდინარე საერთო ჩათვლაში, სადაც ლიდერი შვედია და პირველ ხუთეულში სამი ადგილი ნორვეგიელებს უკავიათ.

მაგრამ ბოლო ეტაპებზე ოდნავ სხვა სურათიც დაიხატა. სკანდინაველებმა ზედიზედ ორი მარცხი იწვნიეს. ამათგან მეორედ სწორედ ბრუსონის გუშინწინდელ ეტაპზე, სადაც გაიმარჯვა გაესპანელებულმა გერმანელმა იოჰან მულეგმა, რომელმაც 15-კილომეტრიანი ტრასის პერიმეტრი საკმაოდ მაღალი სიჩქარით გაიარა. მულეგმა სიტუაცია საბოლოოდ აღმართზე გარდატეხა, რომელიც ისე გემრიელად აიარა, თითქოს დაღმართი ყოფილიყოს. სხვებს აღმართმა აშკარად ქანცი გააცალა და მულეგთან ზორბა სხვაობებიც ამით აიხსნება. შვედი პერ ელოფსონი მესამე იყო და რადგან ნორვეგიელმა ანდერს აუკლანდმა ძალიან უშნოდ ისრიალა (მე-16 ადგილი დაიკავა), საერთო ჩათვლის ლიდერიც გახდა.

პერ ელოფსონი მსოფლიოს თასის მოქმედი პატრონია.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
| --- |
| საერთო ჩათვლა |
| 1. პერ ელოფსონი (შვედეთი) 269; 2. ანდერს აუკლანდი (ნორვეგია) 247; 3. იოჰან მულეგი (ესპანეთი) 187 |
| **ქალები** |
| საერთო ჩათვლა |
| 1. კატერინა ნეუმანოვა (ჩეხეთი) 286; 2. იულია ჩეპალოვა (რუსეთი) 281; 3. ოლგა დანილოვა (რუსეთი) 231 |





მაგდალენა ფორსბერგმა მხოლოდ ერთხელ ააცილა

# მაგდალენას ყველა იცნობს თავის სროლა-სრიალით

**ქალთა** მსოფლიოს თასის მორიგი შეჯიბრება სლოვენიურ პოკლიუკაში გაიმართა და მაგდალენა ფორსბერგის გამარჯვებით დასრულდა. ხომ ნაცნობი გვარია? რაც კი შარშანდელ სეზონში ქალთა ბიათლონზე ტელევიზორში რეპორტაჟები და პრესაში წერილები იყო, თითქმის სულ ფორსბერგს ახსენებდნენ. მსოფლიოს ჩემპიონმა მოიგო ზედიზედ 8 ეტაპი, სულ კი — 13. თარს რიცხვს მისთვის არავითარი პრობლემები არ შეუქმნია, ფორსბერგი წლეულსაც სროლა-სრიალის რიგიან ხასიათზეა.

პოკლიუკას ეტაპზე თავიდან უკრაინელი ოლენა ზუბრილოვას უპირატესობა გამოიკვეთა, რომელიც ჩქარაც გადაადგილდებოდა და მიყოლებითაც აზიანებდა სამიზნეებს. მხოლოდ ბოლო სასროლ ზღუდეზე აუცახცახდა ხელი და ორი სროლა გააფუჭა, შედეგად — მე-7 ადგილი.

თითო სამიზნეს აცილეს ფორსბერგმა, გერმანელებმა — უში დისლმა და ანდრეა ჰენკელმა, ხოლო სისწრაფის მაჩვენებლებით პოდიუმი ამავე მიმდევრობით შეავსეს.

მსოფლიოს თასი ვაჟთა ინდივიდუალური რბოლებით გაგრძელდება.

**დავით გულუა**

| ქალები |
| --- |
| ინდივიდუალური რბოლა |
| 1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 45.09,4; 2. უში დისლი (გერმანია) 45.34,7; 3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) 46.15,6 |


REUTERS



# დაცეცხლილი ამერიკა

ამერიკელები თან ავღანეთთან ომობენ და თან ზამთრის ოლიმპიადის სამასპინძლოდ ემზადებიან. ისინი სხვასაც ბევრ რამეს აკეთებენ, მაგრამ ახლა ამაზე ნუ შევჩერდებით. ამ ფოტოებზე თქვენ ამერიკის მიწაზე ოლიმპიური ჩირაღდნის მოგზაურობას ხედავთ. ერთ ფოტოზე „ტურ დე ფრანსის“ სამგზის გამარჯვებული ლენს არმსტრონგია აღბეჭდილი, მეორეზე მაგანი ხეიბარი ფილიპ ნიუბერი, ხოლო მესამეზე ჩოგბურთელი დები, სერენა და ვინუს უილიამსები ერთმანეთს ცეცხლს უკიდებენ.


REUTERS

# ალიადა

ჰოლივუდში, „ჩინურ თეატრში“ დიდი ზარ-ზეიმით მოეწყო მაიკლ მენის ახალი ფილმის „ალის“ პრეზენტაცია, ამავე ფილმის ლონდონური პრეზენტაციის შესახებ კი გუშინდელ „სარბიელში“ მოგახსენეთ. მენის ეს ნაწარმოები მუჰამედ ალის ცხოვრებას ეხება, ხოლო „ჩინურ თეატრში“ საგანგებო ადამიანებმა მოიყარეს თავი. ეს ფოტოებიც ამ სიტყვების დასტური იყოს: აგერ, ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავები დეივ ყინფილდი და ჯო ნამათი ნბა-ს ვარსკვლავ მეჯიქ [illegible]ჩსონთან ერთად; აგერ ალის როლის შესრულებელი უილ სმიტი თავად ალისთან ერთად; აქეთ ჩემპიონთა ჩემპიონი ლენოქს ლუისი; იქით მსახიობი ჯონ ვოიტი და ალი; და ერთიც, იგივ უილ სმიტი ჯალაბითურთ.


REUTERS


REUTERS




REUTERS



# იხტუნე, მატილა, იხტუნე!

ნეტავ იმ მავთულებში დენი თუ გადის? ალბათ, გადის და ჩვენც, ცხადია, ესა გვშურს, თორემ ფინელი რისტო მატილასი, სნოუბორდის მსოფლიო თასის ეტაპზე კამარას რომ კრავს, დარწმუნებული იყავით, ასიდან ას ჩვენგანს არ შეშურდება... ნუ, ოთხმოცდაცხრამეტს მაინც. მატილა მეორე ადგილზე გავიდა, მისი თანამემამულე ანტი აუტი მესამეზე, ხოლო პირველი ადგილი ასევე ფინელმა იუკა ერატულიმ დაიკავა.


REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge